844/ვ.ი 11592

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 1 (545) პარასკევი, 1 იანვარი, 1993 წელი [illegible] 3 მანეთი

1993 წელი — მშვიდობის, დემოკრატიის, ჰუმანიზმის, ახალი გამარჯვებების, ბედნიერების, წინსვლის წელი ყოფილიყოს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის

ედუარდ შევარდნაძის

საახალწლო წერილი ქართველ ერს და რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ხალხს

ძვირფასო მეგობრებო! თანამემამულენო!

მიიწურა 1992 წელი — მეტად მნიშვნელოვანი, ღირსშესანიშნავი, საეტაპო წელი თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაში. მოდის ახალი, 1993 წელი.

დღეს ჩვენ არა მარტო ორი წლის, არამედ ორი საუკუნისა და ორი ათასწლეულის გასაყართანაც ვდგავართ, — მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებისა და მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. ეს არის მეტად პასუხსაგები პერიოდი ქართველი ერის, საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხისა და კაცობრიობის ისტორიაში.

როგორც ბიბლიაში წერია, დგას ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა, მაგრამ ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვით კირსაო, — გვიბრძანებს დიდი შოთა რუსთაველი და ჩვენი ერი ამ სიბრძნის ერთგულია.

უთქვამთ, ქართველი კაცის სული თვით ბუნებაზე ერთი რეგისტრით მაღლა მღერისო, ალბათ, ეს ასეა, მაგრამ წელს თვით ახალ წელსაც ქართულ სულს ძველებურად, მამაპაპურად არ ულხინს: ომია საქართველოში, სისხლი იღვრება კურთხეულ ქართულ მიწაზე. ბევრ ოჯახში საახალწლო მისალოცის ნაცვლად სამგლოვიარო ბარათები მოდის...

ამიტომ დღეს ტრადიციული საახალწლო, საზეიმო მილოცვის ნაცვლად, ნება მიბოძეთ, ჩემი საახალწლო იმედები, ფიქრები, განცდები და ტკივილები გაგიზიაროთ.

უძველესი ქართული და საკაცობრიო კეთილი ტრადიციაა — ორი წლის გასაყარზე წარსულის შეფასება და მომავლის პერსპექტივების განჭვრეტა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახალი, 1993 წელი იქნება ომის ღირსეულად დამთავრების და სტაბილური მშვიდობის წელი!

რას ემყარება ეს ჩემი სიტყვა და რწმენა?

იმ [illegible], ისტორიული მნიშვნელობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1992 წელს.

1992 წელი — უმძიმესი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული გარდაქმნების წელი იყო დემოკრატიული, სუვერენული, დამოუკიდებელი თავისუფალი საქართველოს მშენებლობაში. [illegible] დავასახელებ.

პირველი. 1992 წელს ქართველი ხალხი განთავისუფლდა დიქტატორული რეჟიმისაგან, დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში.

სამხედრო საბჭომ შეასრულა თავისი მისია და ადგილი დაუთმო სამოქალაქო ხელისუფლებას.

მეორე. შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საბჭო, რომელმაც მყარი საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებას, აღდგენილ იქნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები.

მესამე. ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები და ჩამოყალიბდა ახალი ტიპის **საპარლამენტო რესპუბლიკა.** მუშაობას შეუდგა დემოკრატიული პარლამენტი — რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანო. მივიღეთ კონსტიტუციური კანონი ხელისუფლების შესახებ, რომელმაც რეალობად აქცია საქართველოს ახალი სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა ნორმალური ფუნქციონირება. ახალ თვისებრიობაში ავიყვანეთ საქართველოს დემოკრატიული კანონშემოქმედება.

მეოთხე. პრაქტიკულად ყალიბდება საქართველოს ახალი დემოკრატიული სახელმწიფო, მისი აღმასრულებელი ხელისუფლება, არჩეულ იქნა სახელმწიფოს მეთაური და შეიქმნა ახალი მთავრობა, რომლებმაც მტკიცედ აიღეს კურსი საქართველოს ცხოვრების თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მიღწევათა დონეზე ასაყვანად. ამ დღეებში გამოქვეყნდა სახელმწიფოს მეთაურის საბჭოს შემადგენლობა.

მეხუთე. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და სახალხო მეურნეობის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების საქმეს, სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროპის ბანკთან და სხვა საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას.

მეექვსე. გაძლიერდა მუშაობა ადამიანის უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად, დაიწყო მშვიდობიანი მოწესრიგება ცხინვალის ზონაში და გარკვეული, დადებითი ნაბიჯებიც გადაიდგა ამ რეგიონში ეთნოკონფლიქტების დასაძლევად.

მეშვიდე. სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს ერთიანი ეროვნული, დემოკრატიული არმიისა და ფლოტის შესაქმნელად, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების განსამტკიცებლად. ჩამოყალიბდა ეროვნული უშიშროების და თავდაცვის სახელმწიფო საბჭო. განმტკიცდა კავშირი ნატოსთან, საზღვარგარეთის მრავალი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ქვეყნების არმიებთან.

მერვე. 1992 წელს საქართველო გახდა გაეროს, იუნესკოს, ევროთათბირისა და მრავალი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციის წევრი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ცნო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, თურქეთის, რუსეთის, ჩინეთის, ირანის, მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის თითქმის ყველა სახელმწიფომ. ეს იყო საქართველოს ახალი სახელმწიფოს დიდი საგარეო-პოლიტიკური და დიპლომატიური ტრიუმფი.

მოკლედ რომ ვთქვათ, გასული წელი დიდი ნიშანსვეტია საქართველოს ისტორიაში.

1992 წელს საქართველოს დამოუკიდებლობამ და დემოკრატიული განვითარების კურსმა საბოლოოდ მიიღო ისტორიულად შეუქცევადი ხასიათი.

ეს ქართველი ერის, საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის დიდი ისტორიული მონაპოვარია.

ყოველივე ამას ემყარება ჩემი ოპტიმიზმი, ჩემი დასკვნა იმის შესახებ, რომ 1993 წელს აფხაზეთში დამყარდება მშვიდობა, სრულიად საქართველოში კი ჭეშმარიტად დემოკრატიული წესრიგი. მე ასეთი განცხადება გავაკეთე პარლამენტში და ამას დღეს საქვეყნოდ ვადასტურებ.

ეს საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების, ქართველი და აფხაზი ხალხების, თითოეული ჩვენგანის უმთავრესი ამოცანაა 1993 წელს.



1992 წელს დიდი მნიშვნელობის დადებითი ძვრების გვერდით დიდი ნეგატიური მოვლენებიც გვქონდა.

პირველი და მთავარი ასეთი მოვლენა იყო კონფლიქტი აფხაზეთში, რომელმაც ერთდროულად ეთნოკონფლიქტის, ამ რეგიონში სამოქალაქო ომის, უცხოეთის ინტერვენციისა და სამამულო ომის ნიშანდობლივი თვისებები შეიძინა. ომი არც ქართველ და არც აფხაზ ხალხებს არ სურდათ. ეს ომი თავს მოგვახვიეს აფხაზმა სეპარატისტებმა და ექსტრემისტებმა, რომელთა ზურგს უკან დგანან ძლიერი იმპერიული და ფუნდამენტალისტური ძალები. მათ შორის მიმავალი ზრახვები ამოძრავებთ: მათ სურთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, აფხაზეთის ჩამოშორება საქართველოსაგან.

ჩვენ ყველა ერსა და რელიგიას პატივს ვცემთ, მაგრამ საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი მთლიანობის ხელყოფას არავის ვაპატიებთ.

მე, როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ვაცხადებ ქართველი ერის, საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის წინაშე, რომ მტრების ეს განზრახვა განწირულია ჩასაფუშავად. ჩვენი საქმე სამართლიანი და მართალია. ჩვენთან არის ცივილიზებული მსოფლიო. საზღვრების ურღვევობა დადასტურებულია არა მარტო კონსტიტუციური ნორმებით, არამედ გაეროსა და ევროთათბირის ფუნდამენტური დოკუმენტებით, საერთაშორისო სამართლის აქტებით. საქართველოს საზღვრები ურღვევია. აფხაზეთი საქართველოა და საქართველოდ დარჩება მარად. ეს ჩვენ განვაცხადეთ გაეროში. ეს ჩვენი სტრატეგიული პოზიციაა.

ჩვენ დღენიადაგ უნდა ვიფიქროთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე. გულწრფელი მადლობა ყველას, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეში მონაწილეობს, განსაკუთრებით მინდა გამოვყო მოქალაქენი, რომლებმაც ქვეყნის თავდაცვის ფონდში შეიტანეს თავისი დანაზოგი. კვლავაც მოვუწოდებ თანამემამულეთ — ვიზრუნოთ თავდაცვის ფონდის გაძლიერებისათვის.

მეორე დიდი პრობლემა, რომელიც ჩვენს წინაშე დღეს დგას, ეს არის ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, წარმოების დაცემა, უმუშევრობა, შიმშილი, დეფიციტი, ფასების ზრდა, სპეკულაცია, მოსახლეობის სოციალური დაცვის დაბალი დონე, უფრო სწორად დაუცველობა.

დღეს, საქართველოში, სამწუხაროდ, მძვინვარებს ენერგეტიკული კრიზისი, მოშლილია მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, საჰაერო, საზღვაო, რკინიგზის, საავტომობილო, საქალაქო ტრანსპორტი, ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, არა გვაქვს ნორმალური განათება, გათბობა, ბევრ ქალაქსა და სოფელს არ ყოფნის პური, მოსახლეობა განიცდის უპრეცედენტო საყოფაცხოვრებო დისკომფორტს და ეკონომიკურ კრიზისს. კატასტროფულად მატულობს ფასები, ასევე კატასტროფულად ეცემა მოსახლეობის შემოსავალი ინფლაციის გამო.

ფაქტობრივად მოშლილია ეკონომიკა და მთელი მისი ინფრასტრუქტურა.

მძიმე გაჭირვებაში არიან განსაკუთრებით ის სოციალური ფენები, რომლებსაც შედარებით მცირე შემოსავალი აქვთ: პენსიონერები, სტუდენტები, ლტოლვილები, უმუშევრები, სიღარიბის ზღვარზე დაბლა მყოფი სოციალური მასები.

ფასების ზრდის პროპორციულად უნდა იზრდებოდეს ხელფასები, სტიპენდიები, პენსიები, უნდა გაერთიანდეს საერთაშორისო, სახელმწიფო და კერძო საქველმოქმედო ორგანიზაციების ძალისხმევა ლტოლვილთა და სიღარიბის ზღვართან მისული სოციალური ფენების დასახმარებლად. საქართველოში ლტოლვილთა პრობლემების გადაწყვეტაში გაეროს შესაბამისი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც უნდა ჩავრთოთ.

მართალია, მძიმე კრიზისი მარტო საქართველოში როდი სუფევს, ეკონომიკა მოიშალა და ცხოვრების დონე კატასტროფულად დაეცა ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოში, რომლებიც აღმოცენდნენ ყოფილი საბჭოთა იმპერიისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების ისტორიული რღვევის შედეგად.

ეს ობიექტურად ასეა, მაგრამ ასეთ მსჯელობაში სანუგეშო დიდი ვერაფერია. ეს უფრო არსებულის გამართლებაა, ვიდრე მისი გარდაქმნის ცდა. ჩვენ სხვა სტრატეგია და ტაქტიკა უნდა შევიმუშაოთ.

ამოცანა ის არის, რომ თავი დავაღწიოთ კრიზისს და ნორმალური ცხოვრება შევქმნათ რადიკალური ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელების გზით.

ეს არის დღეს ყველა ხელისუფლების პოლიტიკური სიმწიფის მთავარი ობიექტური კრიტერიუმი.

საქართველოს პარლამენტი, მთავრობა, სახელმწიფოს მეთაური, შესაბამისი სამინისტროები, დეპარტამენტები, უწყებები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ყველა ღონეს იხმარენ, რათა მომავალი, 1993 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედარებით ოპტიმალურად იყოს დაბალანსებული, შემცირდეს კვების პროდუქტებისა და პირველი მოხმარების საგნების დეფიციტი, გაიზარდოს მოქალაქეთა შემოსავალი, დაბალანსდეს საოჯახო ბიუჯეტები, ნაწილობრივ მაინც გაუმჯობესდეს ცხოვრების ხარისხი.

მესამე დიდი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას — ეს არის ბრძოლა [illegible] კრიმინოგენულ ვითარებასთან.

საქართველოში, ალბათ, ისტორიულად იშვიათად ყოფილა ბანდიტიზმის, ტერორის, მკვლელობების, ადამიანთა მძევლად აყვანის, ქურდობის, მაროდიორობის, ყაჩაღობის, ძარცვა-გლეჯის, სახელმწიფო და კერძო ქონების დატაცების, გაუპატიურების, მექრთამეობის, რეკეტის, მაფ[illegible] ქების და სხვა დანაშაულებათა ისეთი ეპიდემია, როგორსაც დღეს ვხედავთ. ეს ბევრი მიზეზითაა გამოწვეული, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ, ერთი მხრივ, ომია საქართველოში, მეორე მხრივ, ჯერჯერობით შედარებით სუსტია ახალი სახელმწიფოსა და მისი სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობა ამ მიმართულებით.

დღითიდღე სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს კრიმინოგენული სიტუაცია. საკანონმდებლო, აღმასრულებელმა, სასამართლო ხელისუფლებებმა, პოლიციამ, პროკურატურამ, შესაბამისმა სამინისტროებმა, დეპარტამენტებმა, უწყებებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ დამნაშავეობის აღმოსაფხვრელად და მოქალაქეთათვის ცხოვრების, შრომისა და დასვენებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

კანონის უზენაესობამ უნდა დათრგუნოს ბოროტმოქმედთა სამყარო. ხალხს უნდა ვაჩვენოთ დემოკრატიული წესრიგის სიკეთე. მეტი სიმტკიცე და კანონიერი სიმკაცრეა საჭირო წესრიგის დასამყარებლად.

დიდ იმედებს ვამყარებთ 1993 წელს საგარეო-პოლიტიკურ და საგარეო-ეკონომიკურ წარმატებებზე.

ჩვენ გვინდა კეთილმეზობლური, მშვიდობიანი, კონსტრუქციული ურთიერთობა რუსეთთან, თურქეთთან, ირანთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, უკრაინასთან, შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანასთან.

1992 წელს ხელი მოვაწერეთ თურქეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ჩვენ მივესალმებით იმას, რომ თურქეთი საქართველოს არა მხოლოდ უახლოეს მეზობელს, არამედ მოძმე ქვეყანას უწოდებს. ეს დიდი გარდატეხაა ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში. უნდა გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს.

ამ ახალწლის ღამეს ჩვენ განსაკუთრებით ვფიქრობთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროპის ქვეყნებთან მეგობრულ და კონსტრუქციულ ურთიერთობაზე.

ახალი წლის დასაწყისში გაიმართება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტი ირანში. ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ ამ ვიზიტზე. გვსურს საქართველოსა და ირანის ურთიერთობათა ისტორიაში სრულიად ახალი ერა დავამკვიდროთ.

1992 წელი რთული და მძიმე იყო საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში. გვინდა ახალ წელს ამ ორ დამოუკიდებელ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური და მეგობრული, კონსტრუქციული ურთიერთობა დავამყაროთ. ეს ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება.

ჩვენ მზად ვართ ყველა საკითხი პოლიტიკური დიალოგის გზით მოვაწესრიგოთ და ხელი მოვაწეროთ საქართველოსა და რუსეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის დიდ ხელშეკრულებას.

ჩვენ ძმობა და მეგობრობა გვინდა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან.

იმედი გვაქვს, რომ მომავალ, 1993 წელს გაერო, იუნესკო, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, მსოფლიო სავალუტო ფონდი და ბანკი, ევროპის ბანკი, სხვა საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, საფინანსო ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საქართველოს ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იყოს.

მრავალს დაესწარით, მეგობრებო!
1993

მხატვარი [illegible]

არ არის გაწყვეტილი დროთა და ხალხთა კავშირი და მჯერა, რომ ჩვენი აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი უკეთესი მომავლისა.

ახალი, 1993 წელი უნდა იყოს ქართული კულტურის ხსნის, გადარჩენის წელი.

მე მივესალმები საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის, განათლების მოღვაწეებს. ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ მათ.

მე მარად და ყველგან თქვენთანა ვარ, ჩემო საქართველოვ, ჩემო ხალხო! ლხინის თუ გლოვის სუფრაზეც თქვენთან ვარ. მე თქვენი ახალი წლის იმედიანი მეკვლეცა ვარ და ამ ომში დაღუპული ყველა ვაჟკაცის მგლოვიარე ჭირისუფალიც. მეც თქვენთან ერთად ვარწევ თქვენს აკვნებს და თქვენთან ერთად ქუდმოხდილი და თვალცრემლიანი მივსდევ თქვენი ოჯახებიდან გასვენებულ ყველა გმირის ცხედარს.

მე ახლაც, ახალი წლის ღამესაც, თქვენთან ვარ, ერის რჩეულო ვაჟკაცებო, იმ სანგრებში, რომლებსაც ტყვიას უშენს მტერი.

მე მინდა, ცრემლი შევუშრალო ქვრივობლებს, პური და ჭერი მივცეთ ყველა ლტოლვილს. მე თქვენზე ვფიქრობ, ჩემი ერის შვილებო, განსაკუთრებით კი იმათზე, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს. ვის არ უჭირს დღეს?!

უჭირს მთელ საქართველოს, გვიჭირს თითოეულ ჩვენგანს, მაგრამ მაინც ახალი წელია, მშობელო ხალხო!

ამიტომ ერთი წუთით შევიშროთ ცრემლი, დავივიწყოთ ტკივილი და ახალი წელი მივულოცოთ ერთმანეთს!

მე მინდა, ახალი წელი მივულოცო ყველა მეომარს, ყველა მუშას, ყველა გლეხს, ყველა ინტელიგენტს, ყველა ჭაბუკს და ქალიშვილს, ყველა დედას, ყველა თქვენგანს დავულოცო დედასამშობლო, დედაენა, დედულ-მამული.

გოგლა ლეონიძეს ჰქონდა ერთი ხალხური სადღეგრძელო — გოგლაური: დავლოცოთ ის, ვინც ამ წუთს იბადება, ახალი საქართველო იბადება, ახალი ქართველი იბადება! დალოცვილი იყავით, მრავალჟამიერ იყავით აწ და მარადის!

ვულოცავ ახალ წელს საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს!

მეტად უჩვეულო დროში ვცხოვრობთ და ჩემი საახალწლო მიმართვაც უჩვეულოა. საქართველოში საომარი ვითარებაა. ამიტომ ეს მიმართვა არ არის ტრადიციული საახალწლო მილოცვა, როგორც ვთქვი, ეს უფრო ფიქრების, ტკივილების, განცდების, ეჭვებისა და იმედების გაზიარებაა მშობელ ხალხთან, სახელმწიფოს მეთაურის საახალწლო მონოლოგია.

არა მოვედ მოფენად მახვილისა, არამედ მშვიდობისა, ნათქვამია სახარებაში. ჭეშმარიტად!

დღეს რამდენადაც უნდა მძლავრობდეს კეთილთან ბრძოლაში ბოროტი, რა თავბრუდამხვევიც უნდა იყოს ცხოვრების მორევისა და ბედის ტრიალი, მე მაინც მწამს და მჯერა, რომ ფოლადივით უდრეკი იქნება მუდამ ქართველი კაცის ნება, არასოდეს კაცთმოძულე არ გახდება მისი კაცთმოყვარე გული, მუდამ წმინდა იქნება მისი კათარზისით მოცული სული, ამოუწურავი — მისი ეროვნული, სინამდვილის სასიკეთოდ გარდამქმნელი ენერგია, გამორჩეული — მისი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა.

საქართველოს ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, ქართველ ერს, მოძმე მეზობელ ერებს, მსოფლიოს ყველა ხალხს ვულოცავ მომავალ, ახალ წელს!

1993 წელი — მშვიდობის, დემოკრატიის, ჰუმანიზმის, ახალი გამარჯვებების, ბედნიერების, წინსვლის წელი ყოფილიყოს!

მრავალ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო!

1992 წლის 31 დეკემბერი.
ქ. თბილისი.

მშვიდობიანი და ბედნიერი ახალი წელი გაგითენებოდეთ!

— ახლა ლტოლვილებზე ზრუნვა გახდა ჩვენი უპირველესი ამოცანა. ახალწლის წინა დღეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა სპეციალურ განკარგულებას „საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონიდან კონფლიქტური სიტუაციების და სტიქიის შედეგად, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ლტოლვილთა სოციალური დაცვისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“.

ჯერ გაზეთში ამ ახალი განკარგულებით შეიძლება არც იყო მისული მკითხველთან, რომ ბატონებმა ედუარდ შევარდნაძემ და თენგიზ სიგუამ მოინახულეს ლტოლვილები თავიანთ დროებით ბინებში თბილისის სასტუმროებში.

ლტოლვილები გარს ეხვეოდნენ სახელმწიფო მეთაურს და პრემიერ-მინისტრს. მათი ოცნებაა — დამყარდეს ბოლოს და ბოლოს მშვიდობა აფხაზეთში და დაუბრუნდნენ თავიანთ კერებს.

— სულ მალე დაბრუნდებით თქვენს სახლებში და ისევ ბედნიერად იცხოვრებთ, — ანუგეშა ისინი ბატონმა ედუარდმა.

სასტუმრო „ვაკეში“, სადაც 485 ლტოლვილი ცხოვრობს, საპატიო სტუმრებს შეეგებნენ ბავშვები.

— ნაძვის ხე თუ მოუტანეს პატარებს? — დაინტერესდა ედუარდ შევარდნაძე. — მართალია, გვიჭირს, მაგრამ ბავშვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ტკბილეული, მათ ბედნიერი ახალი წელი უნდა გაუთენდეთ.

ვახტანგ ყიფშიძეს ხუთსულიანი ოჯახი ჰყავს. მისი სახლი ბესიკის ქუჩაზე ომის ქარცეცხლში დაიწვა.

— ბინის ორდერს თქვენ და დანარჩენი დაზარალებული თბილისელები იანვარში მიიღებთ — მწარეა სხვის კარზე, მით უმეტეს სასტუმროში, ახალი წლის შეხვედრა, მაგრამ ცოტაც უნდა გავუძლოთ და ყველაფერი დალაგდება.

— მშვიდობიანი და ბედნიერი ახალი წელი გაგითენებოდეთ, — დაამშვიდა ლტოლვილებს ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

გალინა ჩიქოვანი.

• • •

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის „სახელმწიფო ხელისუფლების“ კანონიდან გამომდინარე და საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ ოქმის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მუდმივი წარმომადგენლობა ქ. მოსკოვში და მის ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის საელჩო რუსეთის ფედერაციაში.
2. ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის საელჩო რუსეთის ფედერაციაში მუდმივი წარმომადგენლობის სამართალმემკვიდრედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

ოჩამჩირეში ბათუმის გავლით

31 დეკემბერს სოხუმში დილიდანვე ჩამოწოლილმა ცუდმა ამინდმა ვერ ჩაშალა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ედუარდ შევარდნაძისა და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას გამგზავრება აფხაზეთში. ახალი 1993 წლის წინადღეს რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ავტონომიურ რესპუბლიკაში ურთიერთდაპირისპირების შემდეგ უკვე მერამდენედ, ჩავიდნენ საბრძოლო მოქმედების ზონაში. თუმცა ამჯერად ისინი აფხაზეთში გაემგზავრნენ ბათუმის — ერთადერთი მახლობელი ქალაქის გავლით, რომლის აეროპორტმაც შეძლო თვითმფრინავის მიღება. აქედან კი, უკვე ვერტმფრენით, ედუარდ შევარდნაძე და თენგიზ სიგუა ოჩამჩირეში გაფრინდნენ.

საქართველოსა და რუსეთის თავდაცვის მინისტრების შეხვედრა

მოსკოვი, 31 დეკემბერი. (საქინფორმის კორ. კ. ანდრონიკაშვილი და ა. რუხაძე). გაიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის შეხვედრა. შეხვედრის შემდეგ თენგიზ კიტოვანმა ჟურნალისტებს ბლიც-ინტერვიუ მისცა:

— შეხვედრის შედეგებით კმაყოფილი ვარ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კეთილსასურველი ურთიერთობა ექნებათ რუსეთისა და საქართველოს ხელისუფალთ, თუმცა რუსეთში არიან რეაქციული ძალები, რომლებსაც ეს არ სურთ.

გადავწყვიტეთ, შევქმნათ საექსპერტო კომისიები, რომლებიც განიხილავენ საქართველოში რუსეთის ჯარების ყოფნის მიზანშეწონილობას. ერთმანეთისათვის არ წაგვიყენებია ბრალდებანი, რათა არ გაგვემწვავებინა ისედაც უკიდურესად რთული ვითარება.

მიღწეულია მორიგება საქართველოს ტერიტორიის თავზე რუსეთის სამხედრო ავიაციის ფრენის შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებების შედეგებს განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებებს მიიღებს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოში

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ედუარდ შევარდნაძე.

საბჭომ განიხილა საკითხი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო რეზერვში მატერიალურ ფასეულობათა დაგროვების უზრუნველყოფისა და სამინისტროებისა და უწყებებისათვის მათი გადაცემის ორგანიზაციის შესახებ. აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში ამ საკითხს ნაკლები ყურადღება ექცევა, რის შედეგადაც სახელმწიფო რეზერვში ამჟამად დაგროვილ მატერიალურ ფასეულობათა მოცულობა მნიშვნელოვნად ნაკლებია დადგენილ ნორმებთან შედარებით. არის ფაქტები, როცა ცალკეული სამინისტროები და უწყებები სახელმწიფო რეზერვიდან სესხის წესით გატანილ საქონელსა და მასალებს დროულად არ აბრუნებენ. მაგალითად, მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სახელმწიფო რეზერვიდან სესხის წესით გატანილია 4.280 ტონა ხორცი, 4 ათასი ქილა ხორცის კონსერვი, 8.600 ტონა შაქარი, 4.100 ტონა მცენარეული ზეთი, 2 ათასი პირობითი ქილა შედედებული რძე, ათი ათასი დეკალიტრი სპირტი — რექტიფიკატი, 7 ათასზე მეტი ავტოსაბურავების კომპლექტი და სხვა ფასეულობანი, რომლებიც დღემდე არ არის დაბრუნებული. ასეთ სამინისტროებსა და უწყებებს მიეკუთვნებიან სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროები, სახელმწიფო კონცერნი „საქნავთობპროდუქტი“ და სხვა.

სახელმწიფო რეზერვში მატერიალურ ფასეულობათა დადგენილი მოცულობით დაგროვების უზრუნველყოფისა და სამინისტროებისა და უწყებებისათვის მათი მიცემის მოწესრიგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ რესპუბლიკის სახელმწიფო რეზერვი ჩათვალა განსაკუთრებული დანიშნულების საერთო-სახელმწიფო ფონდად და გადაწყვიტა შექმნას მისგან ხელშეუხებელი მარაგი, რომელსაც სახელმწიფოს მეთაური გამოიყენებს მხოლოდ საგანგებო ექსტრემალური სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ, ქვეყნის თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების სამობილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ მიიღონ უმკაცრესი ზომები და უზრუნველყონ 1993 წლის მატერიალურ ფასეულობათა სახელმწიფო რეზერვში იმ მოცულობის დაგროვება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ და მატერიალური რეზერვების დეპარტამენტისათვის 1991-1992 წლებში სახელმწიფო რეზერვიდან ნასესხები ყველა მატერიალურ ფასეულობათა დაბრუნება 1993 წლის 30 ივნისამდე.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს დაევალათ გამოუყონ მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო რეზერვში 1993 წელს მატერიალურ ფასეულობათა დაგროვებისათვის საჭირო სახსრები და სესხი, ამასთან გაითვალისწინონ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების მკვეთრი ზრდა და ინფლაციის კოეფიციენტი.

მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მოამზადოს და ერთი თვის ვადაში წარუდგინოს მინისტრთა კაბინეტს წინადადებები საჭირო სანქციების გამოყენების შესახებ იმ სამინისტროებისა და უწყებების მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ნასესხებ მატერიალურ ფასეულობათა დროულად დაბრუნებას.

რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროსა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტთან ერთად საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ხელშეკრულებების გაფორმებისა და უცხოური კრედიტებით სასაქონლო რესურსების შეძენის დროს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებებთან ერთად უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფო რეზერვის შესაქმნელად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და სასურსათო საქონლის სათანადო ოდენობით გამოყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და მატერიალური რეზერვების დეპარტამენტთან ერთად დაევალა განიხილოს და 10 დღის ვადაში წარუდგინოს წინადადებები მინისტრთა კაბინეტს ქალაქ ქუთაისის ზონაში სახელმწიფო რეზერვის სასურსათო-სამრეწველო ბაზის მშენებლობის განახლების შესახებ, რომელიც 1991 წლის 15 აგვისტოდან დაკონსერვებულია საკაპიტალო (ცენტრალურ კაპიტალურ) დაბანდებათა შეწყვეტის გამო.

ქვეყანაში წესრიგის დამყარებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შემდგომი სრულყოფის საქმეს. ამიტომ გასაგები და სავსებით ბუნებრივია ის ყურადღება, რომელიც მას დაეთმო საბჭოს სხდომაზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ შინაგანი ჯარების ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწევიან აფხაზეთში, მაგრამ ამ ჯარების არასრული სტრუქტურა, ითქვა სხდომაზე, საშტატო განრიგი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბრძოლო ტექნიკისა და შესაბამისი შეიარაღების დღევანდელი დონე სრულად ვერ აკმაყოფილებს მის წინაშე დასმულ გაზრდილ ამოცანებს.

უკანასკნელ დროს მთელ რიგ რეგიონებში მომძლავრებული ეთნოკონფლიქტები, მომრავლებული შეიარაღებული ფორმირებები, კრიმინოგენული ელემენტები, გახშირებული საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები იმის შედეგიცაა, რომ ამ რეგიონებში არ არიან დისლოცირებული შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები არ ხორციელდება მათს კომპეტენციაში შემავალი ქმედითი ოპერატიულ-ამკვეთი ღონისძიებანი.

საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ გაზარდა შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობის რიცხვი და საქართველოს მინისტრთა კაბინეტს დაავალა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარ სამმართველოს დაუკანონოს საქართველოს პროფკავშირთა ყოფილი კულტურის სასახლის მეორე და მესამე კორპუსები; განიხილოს შინაგანი ჯარების სასურსათო პროდუქტებით, სათანადო ინვენტარით და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი. მინისტრთა კაბინეტს დაევალა აგრეთვე თავდაცვის სამინისტროსთან ერთად გადაწყვიტოს მათი სათანადო ტერიტორიების, შენობებისა და ბაზების გადაცემის საკითხი. 1993 წელს მოხდება წვევამდელთა გაწვევა შინაგანი ჯარების დასაკომპლექტებლად.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა შინაგანი ჯარების ახალი სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესაბამისად გამოჰყოს დამატებითი ასიგნებები შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობის შენახვისა და სამხედრო ტექნიკის, შეიარაღების, ტრანსპორტისა და სხვა მასალა-მოწყობილობის შესაძენად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა განახორციელოს პოლიციის პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება ძირითადად საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში ნამსახურებ რეზერვისტთა ხარჯზე.

დასახულია სხვა კონკრეტული ღონისძიებანი შინაგანი ჯარების ქვედანაყოფების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების, საჯარისო ფორმირებებში სათანადო ახსნა-განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობის, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის მიზნით.

საქართველოს ავტომაგისტრალებზე შექმნილი რთული კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებების განხილვის დროს საბჭომ ცნობად მიიღო საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დ. სალარიძის ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის სპეციალიზებული ქვედანაყოფების საშტატო განაკვეთების განსაზღვრის, იარაღის, საბრძოლო ტექნიკისა და საპატრულო ავტომანქანების შესაძენად საჭირო ასიგნებების გამოყოფის საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა უნდა გამოსცეს შესაბამისი ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ძირითად ავტომაგისტრალებზე სხვადასხვა საჯარისო ქვედანაყოფებისა და სამხედრო პოლიციის მუშაკთა უნებართვო გამოსვლის, მათ მიერ სადოღამისო საგუშაგოების მოწყობის, ტექნიკისა (გარდა სამხედრო დანიშნულებისა) და მგზავრთა გაცილების აკრძალვის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა დააჩქაროს საგზაო პოლიციის სპეციალიზებული ქვედანაყოფის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა და 1993 წლის 20 იანვრისათვის უზრუნველყოს მისი ამოქმედება.

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოში სამხედრო ტექნიკის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ. განიხილა აგრეთვე საკითხი ფოთის საქალაქო მეურნეობის მუშაობის გაუმჯობესების და ქალაქში წესრიგის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ; დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1993 წლის პირველი კვარტალის სამუშაო გეგმა, მოისმინა და განიხილა სხვა საკითხები.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

დროებითი ღონისძიება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა სასურსათო საქონლის მწვავე დეფიციტის პირობებში მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მიიღო მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის სამთავრობო კომისიის წინადადება და კომერციულ მაღაზიებსა და კერძო პირებს ჩამოერთვათ საქართველოს მრეწველობის მიერ გამოშვებული სასურსათო საქონლითა და თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის უფლება რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს, სახელმწიფო ვაჭრობის სხვა ორგანიზაციებს, ცეკავშირის გამგეობას, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს დაევალათ არ დაუშვან საბითუმო და საცალო ვაჭრობის ქსელიდან და სამრეწველო საწარმოებიდან რესპუბლიკის მრეწველობის მიერ გამოშვებული სასურსათო საქონლისა და თამბაქოს ნაწარმის კომერციულ მაღაზიებსა და კერძო პირებზე დიდი პარტიებით მიყიდვა მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალათ დაუწესონ მკაცრი კონტროლი მთავრობის ამ განკარგულების შესრულებას.

მისთვისაც ქმრისათვის საქართველოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

⊙ **საქართველოს** რესპუბლიკის კონტროლის პალატამ (თავმჯდომარე — რევაზ შავიშვილი) მატერიალური წახალისებისა და მუშაკთა პირადი დანაზოგებიდან საქართველოს თავდაცვის ფონდში ჩარიცხა 900000 მანეთი.

⊙ **საქართველოს** რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში ცეკავშირის კასპის სასურსათო კომბინატმა (დირექტორი რევაზ მუხიგულაშვილი) გადარიცხა 1000000 (ერთი მილიონი მანეთი), გარდა ამისა, კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს თავდაცვის ფონდში შეაქვთ პირადი დანაზოგი.

⊙ **აკადემიკოს** ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა, პროფესორმა თენგიზ ჩხეიძემ თავდაცვის ფონდში შეიტანა 10000 მანეთი.

⊙ **რესტორან** „მარაბდის“ თანამშრომლებმა თავდაცვის ფონდში თავიანთი დანაზოგიდან 35 ათასი მანეთი შეიტანეს და ივალდებულეს ყოველთვიურად ფონდში ხელფასის 30 პროცენტი გადარიცხონ, თანაც ყოველთვიური საშუალო ხელფასი დაუნიშნონ ომში დაღუპული გვარდიელის ანზორ სარალიძის ოჯახს.

ბიზნესმენთა წვლილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ!

თქვენი ტელევიზიით გამოსვლის შემდეგ, სადაც მოუწოდეთ ყველა საქმიანი წრეების, კომერციული სამსახურების წარმომადგენლებს, ბიზნესმენებს, რათა მხარში ამოგდგომოდით, — გადავწყვიტეთ, ჩვენი მცირე წვლილი შეგვეტანა იმ საქმეში, დღეს ყველა ნამდვილ ქართველს რომ აღელვებს.

გულწრფელად გვინდა გითხრათ, რომ მხარში გიდგავართ და მზად ვართ ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში შევასრულოთ თქვენი თხოვნაც და დავალებაც — რადგან გვწამს, რომ საქართველოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური გაჯანსაღება ხდება დღეს თქვენი მეთაურობით.

გვინდა გაცნობოთ, რომ ერთობლივმა საწარმომ „თბილისი-ლინკმა“ და მისმა პარტნიორმა ნიდერლანდების ფირმა „ტარრო ინტერნეიშნლ ექსპორტ, იმპორტმა“ ერთობლივად შეიძინა 100 000 ამერიკული დოლარის ღირებულების 850 სამხედრო ტანსაცმლის სრული კომპლექტი.

თითოეული კომპლექტის ღირებულებაა 110 ამერიკული დოლარი. ძირითადი მოტივი, რამაც გვიკარნახა მოგვემართა თქვენი სამსახურებისათვის, ეს არის ის, რომ ჩვენს მიერ შეძენილი სამხედრო ტანსაცმლის კომპლექტი გადაეცეს საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლებს ქ. სოხუმში, რომლებიც ბრძოლის წინა ხაზზე იცავენ საქართველოს ერთიანობას — ეს არის ძირითადი პირობა და ჩვენი უცხოელი პარტნიორის ფირმა „ტარრო ინტ. ექსპ. იმპ“-ის თხოვნა.

საზღვაო კონტეინერი ზემოხსენებული პროდუქციით 18 დეკემბერს დაიტვირთა ამერიკაში და დაახლოებით 1993 წლის 18 იანვარს ჩამოდგება ქ. სტამბულში, საიდანაც ფირმა „ტარრო ინტ. ექსპ. იმპ“-ის და „თბილისი-ლინკის“ წარმომადგენლები პირადად ჩაიტანენ ქ. სოხუმში და გადასცემენ უშუალოდ წინა ხაზზე მებრძოლ ბიჭებს.

ჩვენ მივმართავთ თქვენს სამხედრო მრჩეველს ბატონ ლერი აბაშიძეს სამი თხოვნით:

1. გაათავისუფლოს ყოველგვარი საბაჟო გადასახადისაგან ერთობლივი წარმოება „თბილისი-ლინკი“ ზემოაღნიშნული კონტეინერის საქართველოს ფარგლებში შემოტანასთან დაკავშირებით.
2. იმასთან დაკავშირებით, რომ უფრო იაფი დაჯდეს ამ კონტეინერის სტამბოლიდან საქართველოში ტრანსპორტირება, ჩვენს კუთვნილ სატვირთო ავტომანქანას შესაბამისი სამინისტროებისა და დაწესებულებებისაგან მიეცეს უფლება იმოძრაოს თბილის-სტამბოლი, სტამბოლ-თბილისის მიმართულებით.
3. სამხედრო კომპლექტის გადაცემის დროს ქ. სოხუმში იმყოფებოდეს ისეთი პირი, რომელიც არ დაუშვებს ამ საქონლის სხვა მიზნით გამოყენებას.

ბატონო ედუარდ, გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ეს ნაბიჯი გადადგმულია მხოლოდ და მხოლოდ იმ მოტივით, რომ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში.

პატივისცემით!

ფირმა „ტარრო ექსპორტ-იმპორტი ინტერნეიშნლი“-ს
პრეზიდენტი
მ. მიულერი,

ერთობლივი წარმოება
„თბილის-ლინკის“
პრეზიდენტი
ვ. ზოდელავა,

ერთობლივი საწარმო
„თბილის-ლინკის“
გენერალური დირექტორი
ლ. ზოდელავა.

ფირმა „ტარრო ექსპორტ-იმპორტი ინტერნეიშნლი“-ს
წარმომადგენელი
მ. ლოთბაძე.

ალავერდი ელჩებთან

ბოლო უნდა მოეღოს ბრძოლასა და განხეთქილებას



ძველი წლის გასვლასთან და ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ჩვეულებად იქცა იმედით და კარგი ამბების დიდი მოლოდინით შევყურებდეთ ახალი წლის დადგომას. ამერიკელი ხალხი იზიარებს საქართველოს ხალხის ასეთი კარგი ამბების იმედს 1993 წელს. განსაკუთრებით იმედს, რომ ახალ წელს ბოლო მოეღება ამ ქვეყანაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ბრძოლასა და განხეთქილებას. ამერიკის საელჩო მთელი ამერიკელი ხალხისა და მისი მთავრობის სახელით უსურვებს ყოველ ადამიანს და საქართველოს ყოველ მოქალაქეს ჯანმრთელობას, წარმატებას და ყველაზე უფრო — მშვიდობას 1993 წელს.

კენტ ბრაუნი,

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში.

გიუნტერ დალკოფი:

კეთილდღეობისათვის საჭიროა კარგი, გამრჯე შრომა



ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის შეკითხვებზე უპასუხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში გიუნტერ დალკოფმა.

— **ამჟამად** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოში, თქვა მან — ჯერჯერობით მუშაობს 7 გერმანელი და რვა ქართველი თანამშრომელი. საელჩო „მეტეხის“ სასტუმროში განლაგდა. ალბათ, უკვე მომავალი წლის გაზაფხულზე საელჩო შენობას მიიღებს დავით აღმაშენებლის პროსპექტზე. საელჩოს, განსაკუთრებით კონსულს ფართო კონტაქტები აქვს საქართველოს მოსახლეობასთან. საქართველოში მხოლოდ თურქეთისა და გერმანიის საელჩოები გასცემენ ვიზებს. ოქტომბრიდან გერმანიის საელჩომ ათასზე მეტი ვიზა გასცა. საქართველოდან უმეტესობა ფრანკფურტში ჩადის. საჰაერო ხაზით თბილისი-ფრანკფურტი რეისები ყოველ შაბათს იწყობა. საელჩოში ფაქტობრივად ყოველ მეორე დღეს მოდიან ეკონომიკურ თუ სხვა სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე. საელჩოს მჭიდრო კონტაქტი აქვს კულტურულ დაწესებულებებთან, განათლების სამინისტროსთან, კერძოდ, გერმანიაში ქართველი სტუდენტების გაგზავნასთან დაკავშირებით.

შეკითხვაზე, თუ რას უსურვებდა ელჩი ქართველ ხალხს მომავალ 1993 წელს, ელჩმა თქვა: აფხაზეთის კონფლიქტის რაც შეიძლება მალე დამთავრებას და მთელი ყურადღების აღმშენებლობითს, მოსახლეობის კეთილდღეობის საკითხებზე მიპყრობას. მშვიდობის მიღწევისათვის თქვა დასასრულ ელჩმა ბატონმა გიუნტერ დალკოფმა, საჭიროა კომპრომისი, კეთილდღეობისათვის კარგი, გამრჯე შრომა.

ირაკლი ჯაფარიძე.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი რომან კარქუსაშვილი.

ვულოცავთ!

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა 1992 წლის 18 დეკემბრის შემაჯამებელ სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო პრემიები მიანიჭა ლაურეატობის შემდეგ კანდიდატებს:

ლიტერატურის დარგში:

1. **პოეტ ემზარ დავითის ძე კვიტაიშვილს — 1989-1992 წლების მანძილზე ჟურნალ „მნათობში“, „ცისკარში“, „განთიადში“, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული და პოეტის ახალ კრებულში შესული, ამავე წლებში შექმნილი ლექსებისათვის.**

თეატრალური ხელოვნების დარგში:

1. **რეჟისორ გრიგოლ (გიგა) ლორთქიფანიძეს, დირიჟორ რევაზ არონის ძე ტაკიძეს, მხატვარ თეიმურაზ დავითის ძე მურვანიძეს, მთავარი როლების შემსრულებლებს: ლიანა მიხეილის ასულ კალმახელიძეს (ქეთო), თეიმურაზ აკაკის ძე ბუზუშვილს (კოტე) და თამარ აბესალომის ასულ გურგენიძეს (ბაბალე) — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში ვ. დოლიძის ოპერის „ქეთო და კოტეს“ დადგმისათვის.**

სახვითი ხელოვნების დარგში:

1. **მხატვარ ირაკლი სპირიდონის ძე ფარჯიანს (გარდაცვალების შემდეგ) — უკანასკნელ წლებში შექმნილი ფერწერული ნამუშევრებისათვის.**

მუსიკალური ხელოვნების დარგში:

1. **პიანისტ თენგიზ კონსტანტინეს ძე ამირეჯიბს — 1990-1992 წლებში გაწეული აქტიური საკონცერტო მოღვაწეობისათვის.**
2. **კომპოზიტორ ფელიქს პეტრეს ძე ღლონტს — 1990 წელს გამოქვეყნებული ორი სიმფონია-კონცერტისათვის („მარიენბადული ელეგია“ და „მოგზაურობის წლები“).**

კინოხელოვნების დარგში:

1. **კინორეჟისორ გოდერძი ნიკოლოზის ძე ჩოხელს — 1989 წელს შექმნილი სრულმეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმისათვის „ცოდვის შვილები“.**

პუბლიცისტიკის დარგში:

1. **ქეთევან მიხეილის ასულ ჯავახიშვილს (გარდაცვალების შემდეგ) — წიგნისათვის „მიხეილ ჯავახიშვილი — ბელეტრისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989).**
2. **რეჟისორ ლიანა ავთანდილის ასულ დავლიანიძეს, კომენტატორებს: ნანა გივის ასულ ჯაფარიძეს და მამუკა გურამის ძე არეშიძეს — 1992 წლის მანძილზე მომზადებული პუბლიცისტური გადაცემებისათვის — „საღამო-მშვიდობისა“.**

საბავშვო ლიტერატურის დარგში:

1. **თამაზ ალექსანდრეს ძე ბიბილურს (გარდაცვალების შემდეგ) — საყმაწვილო წიგნისათვის „წელიწადის დრონი“ („ნაკადული“, 1989).**

არქიტექტურის დარგში:

1. **არქიტექტორებს: რევაზ არჩილის ძე ბაირამაშვილს, გივი შალვას ძე შავდიას, ილია დიმიტრის ძე უავლაშვილს, ალექსანდრე (ჟონდო) ვლასის ძე ჯიშლაძეს და კონსტრუქტორ მეიერ (შალვა) ვლადიმერის ძე ბაზაშვილს (გარდაცვალების შემდეგ) — ქ. თბილისის ახალი სარკინიგზო სადგურის დაპროექტებისათვის.**

კომიტეტის თავმჯდომარე
გრიგოლ აბაშიძე,

თავმჯდომარის მოადგილე:
მურმან ლებანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

იხარე, ჭერო!

საქართველოს მოქალაქენო! ძვირფასო თანამემამულენო! ქართველებო, აფხაზებო, რუსებო, აზერბაიჯანელებო, სომხებო, ბერძნებო, ასირიელებო, ქურთებო, ოსებო, ძველთაგან ქართულ მიწაზე მოსახლე უკლებლივ ყველა ერის შვილებო, დებო და ძმებო, მოგილოცავთ ახალ, 1993 წელს!

მოგვტანოს ამ წელს დანატრული მშვიდობის აღდგენა, დაპირისპირებულ მხარეთა შორის შუღლის სამუდამოდ აღმოფხვრა, დაბრუნებოდეთ ადამიანებს ურთიერთნდობა და სიყვარული, თვალცრემლამდგარი გვენახოს ჭერი!

ბოლო წლებმა, ყველაზე მეტად გასულმა 1992 წელმა, რომელიც ამიერიდან ისტორიის კუთვნილება ხდება, ერსა და ქვეყანას არცთუ იოლად მოსაშუშებელი ჭრილობები მიაყენა.

არ გადის დღე, სამშობლო რომ არ შეაძრწუნოს ახალმა და ახალმა დანაკლისმა. იღუპებიან, თავიანთი მოწამებრივი სისხლით ალტობენ მშობელ მიწას, სამშობლოს ერთიანობისა და მისი წმიდათა-წმიდა საზღვრების ხელშეუხებლობას თავს სწირავენ ჩვენი ძმები, შვილები და შვილიშვილები, უკეთესნი უკეთესთა შორის, თავიანთი გულის ძახილით მისულნი იქ, სადაც ძმობის ფიცის გამტეხი აფხაზი განდგომილნი და მათი მხრის ამბმელი დაქირავებული გადამთიელები სიკვდილს თესავენ და ქართულ მიწაზე მისი პატრონი ქართველი კაცის [illegible] აღგვას ლამობენ!

მათ უკვე მორწყეს ქართველთა სისხლით გაგრა, განთიადი, ლესელიძე... ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მოხუცი, მხოლოდ იმისთვის, რომ ქვეყანას ქართველად მოევლინა, სიცოცხლეს გამოასალმეს და მათ სისხლს მწყურვალე აფთრებივით დაეწაფნენ. ქართველების მოჭრილი თავებით, იმ ქართველებისა, რომელთა სტუმართმოყვარე ჭერქვეშ გუშინ იქნებ მეგობრულ ტაბლას უსხდნენ და ოჯახის დიასახლისს ფერადოვანი სიტყვებით ადღეგრძელებდნენ, ფეხბურთი ითამაშეს.

ეს ხდება ცივილიზებული მეოცე საუკუნის მიწურულს, განათლებული მსოფლიოს თვალწინ, ხდება ის, რაც შუა საუკუნეების ბნელეთის მოციქულებსაც კი თავზარს დასცემდა და სისხლმოწყურებული აფხაზი გარეწარის მიმართ კანონიერი გულისწყრომით აღაგზნებდა!

მსოფლიო მაინც დუმს. მიუხედავად აქ მოვლინებული მრავალი მეთვალყურის თვალწინ დატრიალებული გაუგონარი ვანდალიზმისა. მაინც არ სჯერა, რაც აფხაზეთში დღისით მზისით ხდება.

სწორედ ეს გახლავთ დასტური იმისა, რომ ცისქვეშეთში მარტონი ვართ, რომ დამხმარე არავინაა და, როგორც წარსულ საუკუნეებში, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ვიქონიოთ!

რუსეთის გენერალიტეტი აღშფოთებულია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი საქართველო მას კვლავ თავის ფერხთა მტვრად მიაჩნია. მხარს ურცხვად უმაგრებს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის ხელმყოფ ექსტრემისტებს და კულტურული მსოფლიოს დუმილით გათამამებული კიდევ მეტი სისხლისღვრით იმუქრება.

დიდია ჩვენი დანაკლისი, დღით-დღე ის კიდევ უფრო მატულობს და სამშობლო ძაძით იმოსება.

ვაი რომ ძაძებით შემოსილნი, სამშობლოსათვის გულგანგმირულ მამულიშვილთა წმიდა საფლავების წინ დაჩოქილნი ვხვდებით ყოველთვის სიხარულისა და იმედის მომტან ახალ წელიწადს, ვაი რომ ცრემლი ყელში გვებჯინება და გულიც მწუხარებით გვაქვს სავსე.

ძნელია მოიძებნოს სანუგეშო სიტყვა. აბა, რა ნუგეშის სიტყვებით უნდა მიმართო დედას, რომელსაც ერთადერთი შვილი, თვალის სინათლე, გაჭირვებაში გამოზრდილი, სიბერის ერთადერთი ოსაყრდენი და მშობელი ერის მომავალთან დამაკავშირებელი [illegible] მტრის ტყვიით განგმირული უსვენია! რა სიტყვებს ძალუძთ მისი მოუშუშებელი ვარამის განქარვება!

ვინ გაუწევს მამობას მცირეწლოვან შვილებს, თვალი რომ ერთთავად კარზე ეჭირათ და სამამულო ომის ფრონტიდან, არძინბას ფეხს აყოლილმა კაცთმოძულე აფხაზებმა და სხვის მონაგარს დახარბებულმა გადამთიელმა არამზადებმა რომ გაგვიჩალეს, სალსალამათ მამას ელოდნენ და მის მაგიერ გარეწრის ხელით მოკლული, დამახინჯებული და ნაწამები გვამი მოასვენეს!

რა ახალი წელი დაუდგათ ჯერაც პირზე რძეშეუმშრალ ქვრივებს, გულით საყვარელი ჭაბუკი მეუღლის მკლავზე ორიოდე წელიწადიც რომ ვერ მოათვლის და აფხაზეთიდან მოსული სავალალო ცნობა გულზე ლახვრად დაესოთ!

მწარეა აუნაზღაურებელია დანაკლისი, მაგრამ რა გაეწყობა! როგორც დიდი შოთა ბრძანებდა, „ჭირსა შიგან გამაგრება, [illegible] გასალკლდევება, მშობელ მიწაზე მაგრად დადგომა გვმართებს.

განა პირველად ვიხოცებით, განა პირველად ვეწირებით მამა-პაპის სისხლითა და ოფლით გაპოხილ მშობელ მიწას. ოდითგანვე ეს გვარგუნა ბედმა. მაგრამ აქამდე მაინც მოვედით, ოცდამეერთე საუკუნის გადასახედს მოვაღწიეთ. მოვაღწიეთ იმ დროს, როდესაც არა ერთი ძლევამოსილი იმპერია, მათ შორის საბჭოთა კავშირი, ჩვენს თვალწინ დაინგრა, საქართველო კი, მრავალჯერ სისხლისაგან დაცლილი და იავარქმნილი, კვლავ ფეხზე დგას და მარადისობასთან შეჭიდებული კვლავ წინ და წინ მიაბიჯებს!

მაპატიეთ, ძვირფასო თანამემამულენო, ეს აწეული, პათეტიკური ტონი, მაგრამ დღეს ახალწლიწადია და როგორადაც არ უნდა გვეჭირდეს, გვშიოდეს და გვციოდეს, ცოტაოდნად აწეული, იმედიანი, გულში მხნეობის ჩამნერგველი ტონი ამ დღეს უხდება.

რა გვჭირდება დღეს უპირველეს ყოვლისა? რას უნდა მივეღტვოდეთ? ერთიანობას, ერთმანეთის მხარდამხარ დგომას, მიტევებას, აწ უკვე დავიწყებას მიცემულ მოყვასის სიყვარულს, მოყვასისათვის თავის გამოდებას!

პირველი ლექსი, ხანამ წერა-კითხვას ვისწავლიდი, დედამ რომ მასწავლა და დღესაც, ღვთისადმი აღვლენილ ლოცვასავით ზეპირად მახსოვს, დუტუ მეგრელის სტრიქონებია:

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და [illegible] სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი.

საქართველო პოეტების ქვეყანაა, ასე ამბობენ. მართლაც, რამდენი დიდებული, ზეგარდმო ნიჭით ცხებული პოეტი გვყავს! გვყავს სულმნათი რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა...

მაპატიონ მათმა უკვდავმა სულებმა, თუ ვიტყვი, რომ ქართველი კაცის სულიერი კრედო, მისი დამოკიდებულება სამშობლოსადმი, ორიოდე სიტყვით ისე ვერავინ გამოხატა, როგორც ამ პაწაწინა ლექსშია ჩამოთქმული:

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო.

ვისაა, ეს ღვთისაგან ნაკარნახევი სიტყვები საეჭვოდ რომ გაუხდია, ძალაუნებ რომ მოუმარჯვებია და თავისუფალი სამშობლოს, მისი ეროვნული ერთიანობის კედლებს დანგრევით ემუქრება?!

მე არ მინდა, მათ ერთი ორი წლის წინათ ხმარებაში შემოსული და ზედმეტად გაცვეთილი სიტყვა მტრები ვუწოდო, თუმცა მტრულ საქმეს კი სჩადიან და წყალს მტრის წისქვილზე უშვებენ.

არა, ისინი მტრები არ არიან, თავისებურად უყვართ კიდეც საქართველო, მის მზეს ფიცულობენ, არ შეიძლება, ქართველი კაცი სამშობლოს მტერი, სამშობლოს შეგნებული მტერი იყოს! ის ძე შეცდომილია, ეშმაკის გავლენაშია მოქცეული, რადგანაც სული მისთვის მიუყიდია და ახლა ვეღარ ახერხებს უკან დაბრუნებას, პატიოსან წინაპართა პატიოსან გზაზე დადგომას, სიკეთის საკურთხეველზე მსხვერპლის მიტანას!

ამ ხუთი-ექვსი დღის წინათ ტელეეკრანზე ყური მოვკარი: თურმე ვიღაც-ვიღაცეებს მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემა დაუწყიათ, გალაკტიონის „მერი და ლამე" მეგრულად უთარგმნიათ (ნეტავი ვისთვის?) და კიდევაც მიუთითებიათ, სად შეიძლება მისი დედნის წაკითხვა!

აფერუმ, ახალბედა ქართველო ჟურნალისტებო. გაუმარჯოს თქვენს ქართველობას, თქვენს უზადო მამულიშვილობას!

იქნებ ფიქრობთ, რომ ეგ საქმე, ახლა რომ გამოგიწყიათ და ნებით თუ უნებლიეთ სამშობლოს საძირკველს უნგრევთ, პირველად თქვენს თავში დაიბადა? ნუ მოტყუვდებით და თავს ნურც ნურავის მოატყუებინებთ!

ეგ აზრი, რომ ქართული სალიტერატურო ენის ამოუწურავი რეზერვუარი — მეგრული სამწიგნობრო ენად ექციათ, თავში პირველად ცარისტული რუსეთის ყველაზე უფრო რეაქციულ წრეებს მოუვიდათ და, როგორც „მცირერიცხოვან ერთა ჯანგარო მოსარჩლენი", კიდევაც შეუდგნენ თავიანთი ვერაგული განზრახვის განხორციელებას.

მათ ისევე აწუხებდა „ქართველების მიერ შევიწროებული და ჩაგრული მეგრელების" ბედი, როგორც გუდაუთაში, არძინბას ბანაკში მყოფ ჩვენს თანამედროვე რუს გენერალ კონდრატიევს აფხაზებისა!

იმ დროს, როდესაც საერო და სასულიერო რუსმა კულტურტრეგერებმა მეგრული ენის ჩაგვრისაგან განთავისუფლება და ამავე ენაზე სკოლების გახსნის იდეა წამოაყენეს, ქართული ენა, ენა, რომელზედაც ყველა ქართველი ტომი ლაპარაკობს და ყოველი ქართველის მშობლიური ენაა, რადგანაც ღმერთს მხოლოდ ამ ენაზე მიმართავს, ოფიციალურად აკრძალული იყო, რუსი შოვინისტები მას „ძაღლის ენასაც" კი უწოდებდნენ.

ძნელი მისახვედრია, რისთვის სჭირდებოდა ყოველივე არარუსულის დაუძინებელ მტერ პირსისხლიან ცარიზმს მეგრული ენის — საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის ტომობრივი ენის გამოსარჩლება, როცა მისგან ამას არავინ მოითხოვდა და ყველა ქართული ტომის გამაერთიანებელი ეროვნული ენისათვის მისი დაპირისპირება? ვგონებ არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი. რუს შოვინისტებს ეს მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდათ, რომ დაემხოთ ქართველთა ეროვნული ერთიანობა, დაეშალათ ერი ტომებად და მერე სათითაოდ გაერუსებინათ თითოეული მათგანი.

სამეგრელოს ადგილობრივმა არისტოკრატიამ, ინტელიგენციამ და მოსახლეობის დაბალმა ფენებმა უმალ განჭვრიტეს რუსეთის ცარიზმის მუხანათობა და, როგორც ერთმა კაცმა, გადაჭრით გაილაშქრეს იმ გზის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენი დღევანდელი თანამემამულეები თავისივე უმეცრებისა და პოლიტიკური ალღოს უქონლობის წყალობით დასდგომიან!

იპოვეს ხელსაყრელი დრო. ცოცხალთა შორის აღარ არიან აღარც დიდი კონსტანტინე, აღარც დიდი არნოლდ ჩიქობავა, აღარც სიმონ ჯანაშია, აღარც ამბროსი ხელაია, აღარც აბაშელი, აღარც ჩიქოვანი...

ახალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს შესახებ რომ ლაპარაკობ, არ შეიძლება თვალწინ არ წარმოგიდგეს ისრაელი, რომელიც დედამიწის ხუთსავე კონტინენტზე გაბნეულმა ებრაელებმა ორნახევარ ათასზე მეტი წლის შემდეგ ხელახლა ააშენეს. ებრაელთა ეროვნული ერთიანობა, ანალოგი რომ არ მოეპოვება მსოფლიოში, მაგალითია ყველა თავმოყვარე ერისათვის და მათ შორის ქართველებისათვის.

მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში გაბნეული, დევნილი და შევიწროებული ებრაელები ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში შეულახავად ინახავდნენ თავიანთ ეროვნულ სახეს, რწმენას და დაუცხრომელ იმედს, რომ დადგებოდა დრო, როდესაც კვლავაც დაუბრუნდებოდნენ აღთქმულ მიწას, თავს მოიყრიდნენ, მშობლიურ ენაზე ალაპარაკდებოდნენ და ორი ათას ექვსასი წლის წინათ მრისხანე ნაბუქოდონოსორის მიერ დაქცეულ ეროვნულ სახელმწიფოს კვლავ აღაშენებდნენ.

ჩვენი თაობის თვალწინ აღსრულდა ისრაელი ერის საუკუნეობრივი ოცნება. დღეს ისრაელი ერთ-ერთი ძლიერი და ანგარიშგასაწევი სახელმწიფოა მთელს ახლო აღმოსავლეთში და თავისუფალ ებრაელ ერს თავისი წვლილი შეაქვს საკაცობრიო ცივილიზაციაში.

ჩვენ, ქართველები, ებრაელებისაგან განსხვავებით, მშობელი მიწიდან არავის აუყრივართ. თუმცა ბევრჯერ იყო ამის მცდელობა, კვლავაც იქ გვიდგას კერა, სადაც ჩვენი შორეული და ახლო წინაპრები ცხოვრობდნენ, მხოლოდ სახელმწიფოებრიობა გვქონდა დაკარგული და ღვთის განგებით აგერ ისიც დავიბრუნეთ. [illegible] მხოლოდ ერთმანეთის მხარდამხარ დგომა და გულდადინჯებული, მუყაითი შრომა გვჭირდება, რომ გაჭირვებიდან გამოვიდეთ და მსოფლიოს დაწინაურებულ ერთა ფერხულში ჩავებათ.

კეთილი იყოს საქართველოსათვის და მის მიწა-წყალზე მცხოვრები ყველა ერის შვილისთვის ახალი, 1993 წელი! მას მოჰყოლოდეს მშვიდობა, სიყვარული, სიუხვე და ბედნიერება!

იხარე, ჭერო!

ერთხელ კიდევ გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო თანამემამულენო!

1992 წლის 31 დეკემბერი.

რევაზ მიშველაძე

ვუსურვებ...

რას ვუსურვებდი საქართველოს ახალ, 1993 წელს? ყველას, დიდსა და პატარას, ერთხელ და სამუდამოდ გვერწმუნოს — „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ, ყველა!"

შევიგნოთ, რომ რუსის იმპერიულ პოლიტიკას ჩვენ მხოლოდ ბრძნული პოლიტიკით მოვერევით. უახლოეს ხანებში გაგვეღვოს ორჭოფობის ყინული და მიკიბ-მოკიბვის გარეშე მივმართოთ საერთაშორისო დიპლომატიური სასამართლოებისთვის, აგრეთვე გაეროს, ევროპარლამენტის, ნატოს, ევროთათბირის შესაბამისი უწყებებისთვის საჩივრით: „რუსეთი გვართმევს ტერიტორიებს, იმოქმედეთ მასზე თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით — როგორც აგრესორზე და დამპყრობელზე".

ამოგვეღოს გულიდან მესიისა და ქვეყნის მხსნელის („იმას რომ [illegible]". „ამას მტრები რომ არა ჰყავდეს"...) ანაბარა დარჩენის იმედი და მთელი საქართველო გაერთიანებულიყოს საქართველოს ხსნის ლაშქრად.

დამტკიცებულიყოს, ბოლოსდაბოლოს, ყველა კომისია და მრჩეველთა საბჭო, რათა საბოლოოდ დავიჯეროთ, რომ მთავარი საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და სხვებისათვის დასაპირისპირებლად შექმნილი კომისია კი არ არის, არამედ მის მიერ გაკეთებული საქმე, რაც, სამწუხაროდ, ნაკლებად ჩანს სამიკროფონო ბატალიებისა და დაპირისპირების ფონზე.

აღარ დარჩენილიყოს საქართველოში კაცი, რომელიც არ იფიქრებს, რომ ხიდის აფეთქებით და ბეღლის დაწვით მხოლოდ თავისთავს, თავის ქვეყანას აყენებს ზიანს და მიაქანებს დაღუპვისაკენ.

ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულიყოს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია (კურსი დასავლეთისაკენ!) და აღარ დაგვჭირვებოდეს [illegible], ან გაუთავებელი მობოდიშება-შელამაზება რომელიმე გაბედული განცხადების გამო.

აღარ ყოფილიყოს საქართველოს ბედი დამოკიდებული პოლიტიკურ ჯგუფთა ხელის გადაწევ-გადმოწევაზე, ყველანი თავის კანში დატეულიყვნენ და ყველას თავისი, მხოლოდ ერისათვის სასარგებლო საქმე ეკეთებინოს.

ხელისუფალთ უფრო მეტი გულისყური დაეთმოთ უბრალო, მშრომელი კაცის გულისთქმისათვის: „საქართველოს სცივა!" „საქართველოს შია" „საქართველო სისხლისგან იცლება!"

ერთი კითხვა პარლამენტარს

ნახევრად სავსე იმედის ბოთლები

ინგლისელები ოპტიმისტს და პესიმისტს ერთი კვიმატი მეთოდით არჩევენ — ადამიანს უჩვენებენ ბოთლს, რომელშიც ნახევრამდე ასხია სითხე. ოპტიმისტი იტყვის, რომ ბოთლი ნახევრად სავსეა, პესიმისტი კი ნახევრად ცარიელიაო.

საახალწლო განწყობილებას ნახევრად ცარიელი ბოთლი არ უხდება, მაგრამ ახალი წელიც არის და ახალი წელიც... კიდევ ერთ მწარე წელიწადს მივაცილებთ, როგორი იქნება ის, ახალი წელიწადი? ეს მხოლოდ უფალმა იცის, ჩვენ კი ის ვიცით, რას მოველით მისგან...

ჩვეულებრივ ამ რუბრიკით მასალის მომზადებისას სხვადასხვა პიროვნებას სხვადასხვა კითხვას ვუსვამ ხოლმე. საახალწლო პუბლიკაცია ამ მხრივაც გამონაკლისია — ორი წლის გასაყარზე მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს მათთვის — რას მოელით ახალი 1993 წლისაგან?

ნოდარ ნათაძე: ახალი წლისაგან მოველი ჩვენი საერთო მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებას. ამ წუთში ჩემთვის ყველაფერი ამ ერთ წინადადებაშია კონცენტრირებული. ამიტომ ვერც დავამატებ მას რაიმეს და ვერც გამოვაკლებ.

ივლიანე ხაინდრავა: პირველ რიგში, მშვიდობის დამყარებას მოველი, შემდეგ — ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმის დაწყებას, მორალური და ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას საქართველოში.

მე მგონია, განვლილ 1992 წელს ჩვენ ვარდნის, ასე ვთქვათ, ყველაზე დაბალ დონეს მივაღწიეთ და ალბათ უკვე შეიძლება ფიქრი, — რასაკვირველია, დიდი სირთულეების, უამრავი პრობლემის დაძლევით, — ერთგვარი აღმასვლის დაწყებაზე. ამდენად, თუ შეიძლება დღევანდელ ჩვენ სიტუაციაში სიტყვა მილოცვა იხმაროს ადამიანმა, უფრო მისალოცად მიმაჩნია არა ახალი წლის დადგომა, არამედ 1992 წლის დასასრული.

რასაკვირველია, არავითარი ჯადოქრობის იმედი არა მაქვს და არ ვფიქრობ, რომ ერთბაშად ყველა სიძნელეს დავძლევთ, მაგრამ მჯერა, რომ შემობრუნების წერტილი დადგება, ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნების იმედი მაქვს.

ლუიზა შაქიაშვილი: თუმცაღა ბუნებით ძალზე ოპტიმისტი ვარ, ამ ახალი წლის დღეს ჩემს ხალხს განსაკუთრებულად საიმედოს ვერაფერს ვეტყვი. დამდეგი წელიწადი, ჩემი აზრით ჩვენთვის ყველაზე მძიმე იქნება.

— უფრო მძიმე, ვიდრე განვლილი 1992 წელი?

— შეიძლება უფრო მძიმე არა, მაგრამ სხვაობა არა მგონია იყოს, ვიმეორებ, სამწუხაროდ. აფხაზეთის და სამაჩაბლოს სატკივარი ის პრობლემები არ არის, ერთსა და ორ თვეში რომ მოწესრიგდეს. როდესაც ამოდენა ქვეყანა გვეპირისპირება, როგორიც რუსეთია, — ისინი ამას უკვე აღარც მალავენ, — როგორ გინდა, მოუარო შენს შიდა პრობლემებს. ამან ძალზე გაართულა ჩვენი მდგომარეობა. ის კი არა, ვისურვებდი, ეს წელი გვყოფნოდეს ნორმალიზაციისათვის და უკვე შემდგომი, 1994 წლიდან დაგვეწყოს აღმშენებლობა. ეს უფრო რეალურად მესახება, ამის იმედი შეიძლება ითქვას, მაქვს.

ზურაბ ჟვანია: მშვიდობას პირველ რიგში, ბოლოსდაბოლოს — დაწყნარებას საქართველოსი. ველი, რომ შეწყდება ის განუკითხაობა, დღესდღეობით ასე რომ უხუთავს სულს მოსახლეობას; ველი, რომ ჩამოყალიბდება სახელმწიფო სტრუქტურები რეალურად და ადამიანები ძალუმად იგრძნობენ ხელისუფლების კეთილისმყოფელ ძალას, რომ თითოეული ადამიანი დაინახავს, აგრე იოლად ვერავინ ხელყოფს მის უფლებებს, რომ მის ღირსებას პატივს სცემენ, რომ მას იცავს ძლიერი ქვეყანა, წელში გამართული სახელმწიფო.

იმედი მაქვს, რომ ახალი წელი საქართველოსთვის რეალური გარდატეხის და აღმასვლის დაწყების წელი იქნება. აი, ეს არის ჩემი მოლოდინიც და საახალწლო სურვილებიც ჩვენი ხალხისათვის.

თენგიზ დიხამინჯია: უპირველეს ყოვლისა, მოველი საქართველოს ეროვნული სხეულის გამთლიანებას, ეროვნული ძალების კონსოლიდაციას წმინდა სახელმწიფოებრივი ცნობიერების დატვირთვის ფონზე. არ შეიძლება ამ მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა შედეგი არ გამოიღოს. დროა, ჭკუა ვისწავლოთ და საყოველთაო მაგალითებით ვიხელმძღვანელოთ, მაშინ უაზრო ურთიერთდაპირისპირებებსაც ბოლო მოეღება. ეს საკითხი უშუალო კონტექსტშია (განსაკუთრებით სამეგრელოს პრობლემა) აფხაზეთის ამბებთან. ასე რომ, ჩვენი გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრივი პრობლემების აღმავლობას და მაღალ შეგნებას შეუძლია. ამის გარდა, ახლახანს ფაქტობრივად გადავდგით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, მხედველობაში მაქვს პარლამენტის განცხადება აფხაზეთის საკითხთან დამოკიდებულებაში.

ეს სცილდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ფარგლებს და უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს. სწორედ ჩვენი სამართლიანი გადაწყვეტილებებით უნდა მოვიპოვოთ გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება, მხარდაჭერა და თანადგომა; უნდა მივაღწიოთ, რომ მსოფლიომ გაითვალისწინოს საქართველოს დამსახურება საყოველთაო კულტურის განვითარებაში, აგრეთვე მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის მნიშვნელობა. თუ არადა, — უმკაცრეს იზოლაციაში აღმოვჩნდებით, რაც დამღუპველი იქნება ჩვენთვის.

უნდა ითქვას, რომ ჯანსაღი ძალები ნელ-ნელა იღვიძებენ, გამოდიან წინა ხაზზე და უფრო და უფრო რეალურად ახდენენ გავლენას მოვლენებზე. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ შევქმნათ იმგვარი სახელმწიფო, ავაშენოთ ისეთი სახლი, რომელშიც ჩვენი სამშობლოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ერისა, რჯულისა, სქესისა, თავს ბედნიერად იგრძნობს.

ნუგზარ ნადარაია: მე ჩვენი ფრაქციის — მიუმხრობელი ნეიტრალების სახელით გიპასუხებთ: მოველით ერთიანობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, რაც ვფიქრობთ, პრაქტიკული დამოუკიდებლობის მისაღწევად ჩვენი ერის მობილიზაციას შეუწყობს ხელს. ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ჩვენი მთავარი პრინციპები, ჩვენი უმაღლესი პარტიულობა — ყველაფერი საქართველოა. აი, სწორედ საქართველოს სამსახურში გვსურს ვიყოთ სანიმუშონი. ჩვენი ფრაქციის მიზანიც ეს არის და პრინციპული საფუძველიც. ამდენად, პარლამენტის პოლიტიკას კონსენსუსით ვუჭერთ მხარს.

ჩემს მოსაუბრეთა პასუხები, ხედავთ, ბევრ რამეში ერთმანეთს ჰგავს. ალბათ, ეს ბუნებრივია — ჩვენი გაუსაძლისი ყოფა, ჩვენი გამწვავებულ-გაპიანურებული პრობლემები ყველას განწყობაზე აისახება. ახალი წელი კი ისეთი დღეა, იმედიანად რომ განგაწყობს თითქოს, ნახევრად ცარიელ ბოთლს ნახევრად სავსედ მოგაჩვენებს. პასუხებშიც ესეც აისახება. მოველით მშვიდობას, ერთობას. მოველით სიმშვიდეს. მოველით, მაგრამ გვჯერა კი, რომ ვეღირსებით ამ ყოველივეს? იქნებ ჩემი რესპონდენტთა პასუხები უფრო საახალწლო სურვილებია [illegible] თანამემამულეებისათვის, ვინემ რეალური მოლოდინი, რწმენა?!

— არა, არა... — ჩემ ეჭვს სიახლოვეს არ იკარებს ბატონი ნუგზარი. — ჩვენ გამოუსწორებელ ოპტიმისტებად ვრჩებით. ოღონდ, იმ შეგნებით ვიღვწით, რომ მხოლოდ საქმით და არა სიტყვით, მხოლოდ შრომით გადავჭრით პრობლემები. ჩვენი პარლამენტის მაღალი ინტელექტუალური დონე, ჯანსაღი პროგრესული ძალები ჩემი იმედის საფუძველია. ვისაც საქმე უკეთებია, ვისაც ამით ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია, იმის იმედი კვლავაც მაქვს.

ბოთლი ბატონ ნუგზარისათვის აშკარად ნახევრად სავსეა. თუმცა განწყობილებები ცალსახა როდია. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრებმა, მაგალითად, კითხვაზე პასუხის გაცემას თავი აარიდეს. არაგულწრფელობა არ შეგვიძლია — ამომრჩეველს, მკითხველს პატივს ვცემთ და ამას ვერ ვკადრებთო. გულახდილობით კი მათთვის საახალწლო განწყობილების გაფუჭება მეტისმეტი იქნებოდაო. ქართველ კაცს პესიმისტობას ვერავინ დასწამებს და თუ ბოთლი ნახევრად ცარიელი მოჩანს, და სამწუხაროდ არა მარტო მათთვის, ეს მათი ბრალი არ არის.

საახალწლო განწყობილებას ნახევრად ცარიელი ბოთლი არ უხდება-მეთქი, ზემოთ ვთქვი. ამ ახალი წლის პირველ დღეს მუხლმოდრეკილი ვევედრებ მაღალ ღმერთს — გვეყოს! ჩვენი წილი ჯვარი ადგილამდე მიტანილად ჩაგვეთვალოს, დანარჩენი გვაპატიოს, შეგვეწიოს! ვნატრობ — ბოლო ახალი წელიწადი ყოფილიყოს საქართველოში ნახევრად ცარიელი იმედის ბოთლებით... ახალი წლის დასალოც სავსე ბოთლს კი ჩვენი ხალხი ყოველთვის მოიძიებს.

რუბრიკას უძღვებოდა
გალინა ხარებაშვილი.

მრავალს დაესწარით მეგობრებო!
1993

ჯანსუღ ჩარკვიანი

საახალწლოდ თქმული

ჩემი კლდე-ღრე,
ჩემი ახო,
ჩემი მიწის
ყამირი,
ჩემი ირმის
საბალახო,
ჩემი მინდვრის
ყვავილი...

ჩემი პური,
ჩემი ღვინო,
ჩემი ზღვა და
მთა-ველი
ჩემი ლექსის
სალიღინო
მიწა
ორი მტკაველი.

ცა-ფირუზი,
სანათლოს
სიზმრებში რომ
შემაფრენს...
მოკლედ,
ჩემი საქართველო
მირჩევნია
ყველაფერს!

დასავლეთის ფრონტზე ცვლილებაა

არმაზ სანებლიძე

გიორგი ხაინდრავა — აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი — ბასკეთიდან სოხუმს ბრუნდებოდა. თვითმფრინავში იყვნენ სამხედროები და კოტე გაბაშვილი — რესპუბლიკის განათლების მინისტრი („ადგილზე უნდა გავეცნო სიტუაციას, მხოლოდ ასე შეიძლება სწორი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც აქ უამრავი დაგროვდა. ახალი წელი დგება, ხომ უნდა მივულოცო? ტყვეები უნდა დავიხსნათ როგორმე, განათლების მუშაკები, ჩვენები").

დაღლილი ჩანდა, მაინც შევეკითხე:

— მცირე ხნით, მაგრამ აქაური პრობლემებისგან გაუცხოების საშუალება მოგეცათ. იქიდან როგორ გამოჩნდა აფხაზეთი?

დინჯი და სრული პასუხი მივიღე:

— ბასკეთის მთავრობამ როგორც ავტონომიის წარმომადგენელი მიმიწვია. საშუალება მომეცა, პრაქტიკულად გავცნობოდი იქაურ სტრუქტურებს, ესპანეთის ხელისუფლებასთან მისი ურთიერთობის პრინციპებს. ამასთან ერთად, საქართველოსა და ბასკეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ზოგიერთი საინტერესო საკითხიც დაისახა.

ყველაფერმა, რაც იქ ვნახე და რასაც გავეცანი, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ აფხაზეთში სრულიად გაუგებარი და მიუღებელი ამბები ხდებოდა. ესპანელებმა, მაგალითად, ძალიან ძნელად მიჯერებდნენ, რომ იმდენი პრივილეგიის (რაც აფხაზებს გააჩნდათ) მქონე ერმა, კონფრონტაციის გზა აირჩია.

ბასკეთი რამდენჯერმე სჭარბობს აფხაზეთს ტერიტორიითაც და მოსახლეობითაც — ოთხი პროვინციაა, და ყველაზე დიდ, თანაც საამაყო მიღწევად მიაჩნიათ, რომ აქვთ საკუთარი პოლიცია. აფხაზეთის მსგავს პრივილეგიებზე ხომ ლაპარაკიც არ არის.

მართალია, არის გარკვეული ფენა, მცირერიცხოვანი, ტერორისტული ორგანიზაციებიც არის, რომლებიც ბასკეთის დამოუკიდებლობას მოითხოვენ, მაგრამ ეს იმდენად მეორეხარისხოვანია, რომ ყველას, ვისაც შევხვდი, სასაცილოდ მიაჩნია ამაზე ლაპარაკი.

ბასკეთის პროვინციები თავიანთ ეკონომიკურ პოტენციალს თავადვე განაგებენ. მას შემდეგ, რაც პროვინციის მოთხოვნები მთლიანად დაკმაყოფილდება, დარჩენილი სახსრები ესპანეთის ბიუჯეტს მისდის. ესაა მათი მთავარი ამოცანა.

ყველა პროვინციას თავისი პარლამენტი აქვს, რომლებიც შიდა პროვინციულ საკითხებს წყვეტენ. საგარეო პოლიტიკა, შეიარაღების პრობლემები, საერთო სახელმწიფოებრივი საკითხები განიხილება მადრიდში და ამაზე პრეტენზია პროვინციებს არა აქვს.

აფხაზეთის პარლამენტში მანდატების განაწილების პრინციპზე რომ ველაპარაკე, როდესაც მოსახლეობის 17 პროცენტს 28 მანდატი ჰქონდა და 47 პროცენტს მხოლოდ — 26, დანარჩენებს კი — 11, თვითონვე დაასკვნეს, რომ ეს აპარტეიდული კანონია.

ბასკეთში ჩემს ყოფნას დაემთხვა აფხაზეთში ვერტმფრენის კატასტროფის ამბავი, რომელმაც თითქოს დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ევროპაში.

მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ეს აჟიოტაჟი რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს არ გასცილებია.

— მე საშუალება მქონდა გერმანიის, საფრანგეთის ტელეარხებით, ბი-ბი-სის და ინგლისის მეოთხე არხით მომესმინა ეს ინფორმაცია. გადმომცეს, რომ ქართველებმა არაერთხელ გააფრთხილეს, ოფიციალურადაც უთხრეს რუსეთს, რომ თუ გაგრძელდება საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა, მიიღებენ გადამჭრელ ზომებს და ასეც მოიქცნენ, მით უფრო, რომ დამრღვევი სამხედრო ვერტმფრენი იყო.

აფხაზებისთვის ომი უკვე წაგებულია

საერთოდ კი, ევროპიდან უფრო ნათლად და ცალსახად გამოჩნდა, რომ დამღუპველი ნაბიჯი აფხაზებს რუსებმა გადაადგმევინეს, ხოლო ის, რაც არძინბამ და მისმა გარემოცვამ გააკეთა, უფსკრულში ჩაყრაა ხალხის.

ორ თვე-ნახევრის განმავლობაში პრაქტიკულად მთელი აფხაზეთი მოვიარე, ბევრჯერ შევხვდი აფხაზებს და, ცხადია, ჩემი აზრი ჩამომიყალიბდა შექმნილ სიტუაციაზე.

არძინბასაც შევხვდი, ბუნებრივია, და როდესაც ვკითხე, თუ რა პოლიტიკური მიღწევებით აპირებს იმ უბედურების ანაზღაურებას, რომელიც აფხაზმა ხალხმა განიცადა, რაც შედეგად მოჰყვა ამ ომს, ვერაფერი მიპასუხა. მასთან ლოგიკური საუბარი საერთოდ შეუძლებელია. ამით იგი ძალიან ჰგავს ჩვენს პრეზიდენტყოფილს. ერთადერთი, რითაც შეიარაღებულნი არიან, ესაა დემაგოგია და ისტერია, რასაც, მოგეხსენებათ, აზროვნებასთან, მით უფრო, პოლიტიკურ აზროვნებასთან, საერთო არაფერი აქვს.

აფხაზეთი იყო და იქნება საქართველოს ნაწილი, რა ძალებიც უნდა დაგვიპირისპირდნენ.

რა ძალებზეა საუბარი, ცნობილია, ერთი ინტერვიუს დროს, რომელიც ფრანგ ჟურნალისტს მივეცი, საკმაოდ სახიერად იქნა ილუსტრირებული ეს საკითხი.

— რა გიჯდებათ აფხაზეთის ომის ერთი დღე? — შემეკითხა კორესპონდენტი.

ვუპასუხე, რომ საქართველოს გაჩანაგებული ეკონომიკისათვის ეს ძალიან მძიმე ტვირთია, ხოლო ერთი პროვინციის ეკონომიკა კი ამას საერთოდ ვერ უძლებს. ამიტომ, ადვილი გასაგებია, თუ ვინ აფინანსებს აფხაზეთს ამ ომში და, საერთოდ, ვინ ომობს საქართველოს წინააღმდეგ: რასაკვირველია რუსეთი.

— ევროპიდან ჩამოსვლის შემდეგ ეტყობა, უფრო გაგიცხოველდათ აზრი, რომ საჭიროა, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს აფხაზეთის ომი.

— პირველ რიგში, ეს თვით აფხაზებისთვისაა საჭირო. არაერთხელ აღმინიშნავს, რომ როგორადაც უნდა დამთავრდეს ტერიტორიული თვალსაზრისით ეს ომი, რომელსაც რუსეთის რეაქციული ძალები ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებენ, აფხაზებმა იგი უკვე წააგეს, მათთვის ეს ისეთი კატასტროფაა, რომელიც აფხაზების, როგორც თვითმყოფადი ერის არსებობას კითხვის ნიშანს უსვამს.

თუმცა, მგონია, რომ ქართველ ერს იმდენი სულიერი ძალა გააჩნია, რომ ამ უბედურების შემდეგაც აღადგენს ძველებურ ურთიერთობას აფხაზებთან, რადგან აფხაზი ხალხი და აფხაზი სეპარატისტები ორი განსხვავებული ცნებაა.

დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ქართველისათვის საქართველო აფხაზეთის გარეშე ისევე წარმოუდგენელია, როგორც იმერეთის, სამეგრელოს, სვანეთის გარეშე.

— შეეგუა თუ არა შემოქმედი გიორგი ხაინდრავა თავის პროფესიასთან განშორებას?

— არა. ყველაფერს მაინც კინემატოგრაფისტის თვალით ვუყურებ და ვფიქრობ, რომ სწორედ ეს მომცემს საშუალებას მერე, როდესაც ყველაფერი დამთავრდება, გავაანალიზო მომხდარი და სწორედ ჩემი პროფესიის დახმარებით მოვუყვე ქართველ ხალხს.

როგორც კი აფხაზეთში სტაბილიზაციის ნიშნები გამოჩნდება, მე ჩემს პროფესიას დავუბრუნდები.

ძალიან რთულია დღევანდელ ამპლუაში ჩემი მოღვაწეობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის ჩემი საქმე. ჩემი თანხმობა თავის დროზე განაპირობა აქ შექმნილმა უმწვავესმა ვითარებამ და იმან, რომ ჩემმა უფროსმა მეგობრებმა ასე მიიჩნიეს საჭიროდ, რადგან ადრეც მომიხერხებია ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებთან საერთო ენის გამონახვა და აქაც იგივე აქცენტით უნდა მემუშავა. ასე თუ ისე, მგონი, შევძელი, რომ აფხაზებთანაც მიმესვლება და სამეგრელოშიც ადამიანური ურთიერთგაგების დონეზე.

— რასაც, ალბათ, პოლიტიკური შედეგები მოჰყვება.

— შედეგი სამეგრელოში უკვე არის. ამ რეგიონში ჩვენ ძალიან რთული მოწინააღმდეგენი გვყავდა, რომელთა დიდმა ნაწილმა ამ ბოლო დროს სწორედ ის ნაბიჯი გადადგა, რომელიც ყველა ჩვენგანს მოეთხოვება გაჭირვების ჟამს. რასაკვირველია, დარჩა ურთიერთპრეტენზიებიც, მაგრამ ჩვენს დღევანდელ საერთო უბედურებასთან შედარებით ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ ლაპარაკიც კი უხერხულია.

ადამიანების ერთი ჯგუფი, სამწუხაროდ, ვერა და ვერ გამოვიდა ვითომპოლიტიკური ინტრიგების ობობას ქსელიდან.

— ახალ წელს ბიჭვინთაში შევხვდებითო, ამბობდით თქვენ. კრიტიკად არ მიიღოთ, რადგან ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მით უფრო, ომის დროს.

მაგრამ ახალი წელი მაინც დადგება. რას ეტყოდით საახალწლო სუფრაზე (წარმოვიდგინოთ ესეც) ქართველებს და აფხაზებს?

— მშვიდობას ვეტყვი, სიყვარულს ვეტყვი, პატივისცემას ვეტყვი და გონზე მოსვლას ვეტყვი.

ძალიან ბევრი მეგობარი მყავს აფხაზეთში და ჩემი ცხოვრების დიდი დრო აქ მაქვს გატარებული, ალბათ, საუკეთესო წლების საუკეთესო დრო.

ღმერთს შევთხოვდი, გულები გაეხსნა მათთვის, სიყვარულით აევსო. ეშმაკი მთელ ჩვენს საქართველოს იყო ზემოჩენილი, ახლა ვთავისუფლდებით და, ღმერთმა ქნას, სრულიად საქართველო სრულად გათავისუფლებულიყოს; ის აფხაზები გათავისუფლებულიყვნენ, გონება რომ დაუბნელეს.

ოჩამჩირის საავადმყოფოში ორი ტაბალუა ვნახე. დაჭრილები, ერთი — ქართველი, მეორე — აფხაზი (?!). მათი საერთო ენა ავტომატების ენა უნდა იყოს?

ვეტყოდი, ღმერთმა ერთმანეთის სიყვარული მოგცეთ, ბედნიერი ახალი წელი და ძმობა!

• • •

ერთხელ უკვე მიწას გაკრული თვითმფრინავი ისევ ზემოთ აზიდა პილოტმა, მეორედ შემოევლო დენთის ბოლისფერი ნისლით დაფარულ სოხუმს და, როგორც იქნა, მოძებნა საჰაერო დერეფანი.

სამუშაო ოთახში შესვლისთანავე აცნობებენ მინისტრს — ოჩამჩირის რაიონში შეტევა წარმატებით გრძელდებაო.

იმასაც ეტყვიან, ჯიმი დაიღუპაო, მაისურაძე.

მფრინავი ასის დაღუპვის ამბავი გიორგი ხაინდრავამ უკვე იცოდა.

...აფხაზეთში გაუგებრად თოვდა.

სოხუმი-თბილისი.



სურათებზე: გიორგი ხაინდრავა; ავაზნელები პოზიციაზე შესვენების დროს.

ავტორის ფოტო.



მეტი იმედიანობა, მეტი რწმენაა საჭირო!

თბილისის გული ელის „ქეთევანს“

„მხატვართაგან მხოლოდ ერთეულებს ენიჭებათ უმაღლესი ღვთიური ჯილდო — უჩვეულოდ ააჩქეფონ სისხლი ძარღვებში, ჩაასახლონ მზე თვალებში, გაათბონ სხეული და შეძრან ადამიანთა გულები“ — ასეთ ფრაზას ვკითხულობთ ნოდარ დუმბაძის წერილში „მხატვრობა რომ არ ყოფილიყო“.

სწორედ ამგვარი ღვთიური ჯილდოს მფლობელია საქართველოში მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი!

მისი „დავით გურამიშვილი“, „მედეა“, „გიორგი სააკაძე“, „კიდევაც დაიზრდებიან“ მართლაც ღვთიური ქმნილებებია, უჩვეულოდ რომ აჩქეფებენ სისხლს ძარღვებში.

თუკი მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნოს ეწვევით, ეზოში შესულს უმალ მზე ჩაგისახლდებათ გულსა და თვალებში, ჩვენს წინ გადაშლილია სკულპტორის მთელი სამყარო, თითქოს ხელისგულზე გვიდევს რაც სხვადასხვა დროს მხატვრის მძლავრი მარჯვენით შექმნილა და დგას საქართველოს ყველა კუთხეში ჩვენივე სულის მხნეობად და იმედად!

ამ ეზოს „ექსპოზიციის“ ყველა ნიმუშს კარგად იცნობს ფართო საზოგადოებრიობა. თუმცა მათ შორის დგას ერთი სკულპტურა, რომელიც ჯერ არ გასცილებია ამ სავანეს, მას — „ქეთევან წამებულს“ დიდი ხანია ელის თბილისი. იგი ქვაშვეთის წინამდებარე სკვერში უნდა დაიდგას.

„ქეთევან წამებული“ მერაბ ბერძენიშვილის დიდებული სკულპტურული შემოქმედების კიდევ ერთი ნიმუშია.



ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: „მერაბ ბერძენიშვილთან ვნახე ქეთევან წამებულის ქანდაკება — შესანიშნავი ნაწარმოები, რომელმაც შემძრა. რატომ არ ვდგამთ ამ ქმნილებებს, საჭიროა ამ საქმის მოგვარება. მთლად ნუ დავისაწყლებთ თავს, არის ხალხი, რომლებიც სხედან, რაღაცას აკეთებენ, ეს უნდა გამოვაჩინოთ. ეს იმ ბიჭებსაც სჭირდებათ, რომლებიც იქ სისხლს ღვრიან. მეტი ოპტიმიზმი, მეტი რწმენაა საჭირო!“

ქალაქის მერია ვალდებულია, რომ პრაქტიკულად განახორციელოს „ქეთევან წამებულის“ დადგმა დათქმულ ადგილზე. როგორ მოუხდება რუსთაველს ბრინჯაოში გაცოცხლებული ქეთევანი. ქეთევანი — საქართველოს გადარჩენის სიმბოლოა!

შარშან უნდა დაემშვენებინა მერაბ ბერძენიშვილის ახალ ქმნილებას დედაქალაქი, თბილისის გული ელის „ქეთევანს“.

გიორგი ლალიაშვილი.
ჯაბარ ლომაძის ფოტო.



კვლავაც ვემსახურებით ჭეშმარიტებას

ალბათ ამ ღამისთვის ყველამ დროებით გადადეთ თქვენი საწერ-კალამი და ტელეკამერა, რადიომიკროფონი და ფოტოაპარატი... მაგრამ, მაინც ისმის საბეჭდი მანქანების ხმა, საროტაციო დანადგარების ხმაური — გამოდის გაზეთი, ჟურნალი, ეთერში გადის ტელე და რადიოგადაცემები. ე. ი. ჩვენს ზოგიერთ კოლეგას არ სძინავს, იმიტომ, რომ მკითხველს, მაყურებელს, მსმენელს მიულოცოს ახალი 1993 წელი.

შინ თუ სამუშაო ადგილებზე მყოფ ჟურნალისტებს, კორესპონდენტებს, ასოთამწყობებს, გამომცემლებს, რედაქტორებს, მემონტაჟეებს, გამომშვებებს, ყველას, ყველას ეს ღამე თავს დასთენებოდათ ბედნიერების, სიხარულის მომტან წელიწადად.

რამდენი სიძნელეც გადაიტანეთ საგაზეთო მასალისა თუ ტელერადიოგადაცემის მომზადების დროს, იმდენი ძალა და ენერგია შემატებოდეთ ახალ-ახალი შემოქმედებითი ძიებისათვის.

ჩემო ძვირფასებო! საქართველოს ამ ძნელბედობის ჟამსაც შეინარჩუნეთ სულის სიმხნევე, ქედუხრელობა და სიმტკიცე. კვლავინდებურად მოაწოდეთ ხალხს თქვენი ხელოვნება. კვლავაც ემსახურეთ ჭეშმარიტებას.

ღრმა პატივისცემით,
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე
აკაკი სიხარულიძე.
1992 წლის 31 დეკემბერი

ჩვენი მთა-ბარის ამბები

მეტი სიახლოვე კარის მეზობელთან

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის ბატონ ზურაბ აბაშიძის თაოსნობით შეიქმნა საზოგადოება იმპერიის დაშლის შემდეგ პირველი — საქართველო-აზერბაიჯანის კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოება.

ამ საზოგადოების შექმნა ჩვენი კარის მეზობლებთან — აზერბაიჯანელებთან საქმიანი და შემოქმედებითი კონტაქტების გაღრმავება-გაფართოებას დიდად შეუწყობს ხელს.

საზოგადოების პრეზიდენტად არჩეულია მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ვახუშტი კოტეტიშვილი, ვიცე-პრეზიდენტებად: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მოღვაწე ლეილა ერაძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ ფირცხალავა.

ფოტოფირზე აღბეჭდილი მატიანე

ახალ წელთან ერთად შალვა კუკულავას დაბადების დღესაც ულოცავენ მისი მეგობრები. წლევანდელი ახალი წელი კი განსაკუთრებულია: თავის მეოთხმოცე დაბადების დღეს აღნიშნავს უხუცესი ქართველი ფოტოხელოვანი.

აი, პირველი ფოტო, რომელიც ბატონმა შალვამ ამ ორმოცდათორმეტი წლის წინ გადაიღო. მასზე გორის რკინიგზის სადგურია აღბეჭდილი...

ათეულობით წელი იმუშავა ბატონმა შალვამ გორში გამომავალ გაზეთებში „სტალინელში“, „სოციალისტურ სოფელში“, „გამარჯვებაში“, „გორში“. რუდუნებით ქმნიდა იგი ქართლის მდიდარ ფოტომატიანეს.

დღეს ბატონმა შალვამ მეორე ათეული გადაიბიჯა. გუშინ კი საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისაგან ბარათი მიიღო. კონვერტში საახალწლო მილოცვასთან ერთად ფულადი ჯილდოც იდო — ათასი მანეთი.

იუბილარს მისმა გორელმა მეგობრებმაც მოუმზადეს საჩუქარი. მას დღეს გადასცემენ — კუკულავების ოჯახში, მუსიკით, საახალწლო სუფრასთან.

გურამ ვაშაკიძე.

დეფიციტი შემცირდება

30 დეკემბერს საღამოსთვის ამოქმედდა ელექტროგადამცემი ხაზი — 200 ზუგდიდ-ვარდნილის მონაკვეთზე. ამან შესამჩნევად გააუმჯობესა რესპუბლიკის მოსახლეობის ელექტრომომარაგება. უახლოეს დღეებში ამოქმედდება ბათუმ-ხენაკის ელექტროგადამცემი ხაზი, რაც კიდევ უფრო შეამცირებს ელექტროენერგიის არსებულ დეფიციტს საქართველოში.

თენგიზ ჩხიკვაძე.

გაზის მიწოდება გაიზარდა

31 დეკემბრის დილისათვის რესპუბლიკაში შემოვიდა დღეღამეში 28 მილიონი კუბური მეტრი რაოდენობის გაზი, აქედან 18,5 მილიონი კუბური მეტრი ნაწილდება საქართველოში, დანარჩენი ნაწილი გაიგზავნა სომხეთში. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს „საქტრანსგაზის“ მთავარმა დისპეტჩერმა ოთარ მერაბიშვილმა უთხრა, უზბეკეთმა მოუხსნა საბაჟო გადასახადი თურქმენეთის გაზს, რომელიც ამ რესპუბლიკაში გავლით ტრანზიტით მოდის. მოსალოდნელია გაზის მოწოდების დამატებითი გადიდება აზერბაიჯანის მაგისტრალით.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვებიან ზურაბ ინწკირველი და ვალერი ბალანძაძე.

გიწვევთ საშობაო კონკურსზე!

საქართველოში საჭადრაკო ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით ვაცხადებთ საშობაო კონკურსს. გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს. ეტიუდი — 10 ქულა, ამოცანა — 5 ქულა, პოზიცია — 5 ქულა, კითხვა — 5 ქულა. პირველი სამი გამარჯვებული დაჯილდოვდება საჭადრაკო ლიტერატურით, ქართველი დიდოსტატების ავტოგრაფებით.

რედაქციაში მასალები უნდა გამოიგზავნოს 1993 წლის 1 თებერვლამდე.

ეტიუდი



მოგება.

ამოცანა



შამათი ორ სვლაში.

1. რამდენჯერ ჩატარდა ომამდე საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. როდის, სად და ვინ იყვნენ ჩემპიონები.
2. როდის ჩატარდა თბილისის პირველი ჩემპიონატი ვაჟებში და ვინ იყო ჩემპიონი.
3. როდის ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ქალებში და ვინ იყო ჩემპიონი.
4. როდის ჩატარდა თბილისის პირველი ჩემპიონატი ქალებში და ვინ იყო ჩემპიონი.
5. დაასახელეთ საჭადრაკო კომპოზიტორი, რომელმაც პირველმა მოუტანა მსოფლიო აღიარება ქართულ საკომპოზიციო სკოლას.
6. რა იცით „უკვდავი პარტიის“ შესახებ.

საშობაო არდადეგებზე უპრიანია პოზიციები (ქობულეთის, ლაგოდეხის, თბილისის, ოზურგეთის) ჭაბუკთა ჩემპიონატებიდან.

ქობულეთი, 1984 წელი



თეთრები იგებენ

(გაგრძელება იქნება).

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 5 იანვარს.

დამთავრდა ავად სახსენებელი 1992 წელი, ანუ აღმოსავლური კალენდრით, მაიმუნის წელი. დადგა ახალი, 1993 წელი — მამლის წელიწადი

დაიყივლე, გაგვაღვიძე მამალო!

ცხოველთა სიმბოლოებით ცალკეული წლების აღნიშვნას აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უძველესი ტრადიცია აქვს. ასეთი კალენდრის გამოყენება ყველაზე ადრე დამოწმებულია ჩინეთში, ჩვენს ერამდე XIII საუკუნეში. „ცხოველის წრე“ თორმეტი სექტორისაგან შედგება. იგი თაგვის წლით იწყება და ღორის წლით მთავრდება. ეს 12-წლიანი ციკლი ასეთი თანმიმდევრობითაა განლაგებული: თაგვი, ხარი, ვეფხვი, კურდღელი, ურჩხული, გველი, ცხენი, ცხვარი, მაიმუნი, მამალი, ძაღლი და ღორი. შემდგომ ეს 12-წლიანი ციკლი კვლავ მეორდება.

როგორც ვხედავთ, ამ კალენდარში ერთადერთი ფრინველია მამალი.

მცირე წიაღსვლა კულტურის ისტორიაში:

მამალი ძველი დროიდანვე იქცა სინათლისა და მზის სიმბოლოდ. იგი თავისი ყივილით უწყებოდა გათენებას, მზის ამოსვლას, რაც დიდ ბედნიერებად ითვლებოდა.

მამალი მზის სიმბოლოდ ითვლებოდა ჩინეთშიც. იგი, ისევე როგორც ვეფხვი, ავი სულების დამფრთხობელი სიმბოლო იყო.

ძველ რომაელებში მეტად გავრცელებული იყო თქმულება იმის შესახებ, რომ ლომებს ეშინოდათ მამლის ყივილისა. ამას აღნიშნავენ ლუკრეციუსი („საგანთა ბუნებისათვის“) და პლინიუსი („ბუნების ისტორია“).

მამალმა, როგორც მზის ამოსვლის მაუწყებელმა, ბევრ ხალხში ღვთაებრივი, რელიგიური ხასიათი მიიღო. ქრისტიანებში იგი გახდა აღდგომის ემბლემა. გადმოცემით, ქრისტე აღსდგა მამლის პირველი ყივილის შემდეგ.

როგორც ვიცით, ძველად ფუძეს, საძირკველს (ფუძის ანგელოზი) მსხვერპლად ჯერ ადამიანებს, ხოლო შემდეგ პირუტყვსა და ფრინველებს სწირავდნენ.

ჩვენში ასეთი წესი იცოდნენ: საძირკვლის ჩაყრას რომ დაიწყებდნენ, ერთ მხარეს ფულს ჩაჰყრიდნენ (შენაცვლებული მსხვერპლი), მეორე მხარეს კი ყვინჩილას (უმანკო მამალი) დაჰკლავდნენ და იმის სისხლს ასხურებდნენ ფუძეს.

მრავალ მოდგმას სწამს, რომ ვინც პირველად დაადგამს ფეხს საძირკველს, ის ერთი წლის განმავლობაში მოკვდებაო. და რომ ეს უბედურება აიცილონ თავიდან, იმ ადგილას ან ბატკანს კლავენ, ან შავ მამალს (ვ. კოტეტიშვილი).

მამლების მსხვერპლშეწირვა იცოდნენ აფრიკაშიც. მაგალითად, ეიოს ტომის ხალხმა (ნიგერია), უანტალას (ანუ მანდარა) ხალხმა (რადის ბალნეიები) და სხვ. საინტერესოა, რომ აქვე, ნიგერიაში იპკერეს ტომის ხალხს კუკურეკუს უწოდებდნენ, რადგანაც მათი ყვირილი მამლის ყივილს წააგავდა.

სვანების აზრით, გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სული ისადგურებდა ქათამში ან მამალში. ამის გამო, სადაც უნდა მომკვდარიყო ადამიანი, თუ ამის შესაძლებლობა იქნებოდა, მისი ნეშტი შინ უნდა გადმოესვენებინათ.

მამალი ბევრ ხალხში დილის [illegible] იწოდებოდა. ჩვენში იყო პარადოქსული გამოთქმა — გზის მამალი. ძველად, შორ მანძილზე საქონლის წასაღებად თუ მოსატანად ურმის ქარავანი რომ წავიდოდა, გამოცდილი მეურმის ურემზე მამალს დასვამდნენ, რომ მამლის ყივილს გათენების მოახლოება შეეტყობინებინა მეურმეთათვის.

დილის მებუკის ვოკალობა გასართობიც კი გახდა გასული საუკუნის ევროპაში. მაგალითად, ბელგიაში მოდაში შემოვიდა „მამლების შეჯიბრი ყივილში“. 1891 წელს ქალაქ როტერდამში ასეთ შეჯიბრში 54 მამალი მონაწილეობდა. გამარჯვებულმა საათში 148-ჯერ დაიყივლა. ბელგიას საფრანგეთმა და რუსეთმა მიბაძეს და მალე აქ თავისებური გასართობი — ვოკალისტთა კონკურსები ტარდებოდა.

მსოფლიოს ხალხთა მრავალრიცხოვან გართობა-სანახაობებს, რომლებიც დღემდე შემოგვრჩა, განეკუთვნება ცხოველთა და ფრინველთა შერკინება-შეჯიბრებაც. მათ შორის ერთ-ერთი საინტერესო სანახაობაა მამლების ჩხუბი. იგი ფართოდ არის გავრცელებული აზიის, ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

მამლების ჩხუბი პოპულარული იყო ძველ საბერძნეთში. ცნობილი იყვნენ ტანაგრის, როდოსის, მელოსისა და ხალკისის მებრძოლი მამლები. ფრინველებს რომ მძაფრი საომარი განწყობილება ჰქონოდათ, ნივრითა და ხახვით კვებავდნენ.

ბერძენი მწერალი ლუკიანე სამოსატელი მიუთითებს, რომ მებრძოლი მამლები ეძღვნებოდა ჰერმესს, გიმნასტიური ვარჯიშების მფარველს. მისივე ცნობით, მეტად პოპულარული იყვნენ ბეოტიის ქალაქ ტანაგრის მებრძოლი მამლები.

უყვარდათ ეს სანახაობა ძველ ინდოეთშიც.

შუა საუკუნეებში მამლების ჩხუბი გავრცელდა ევროპაში, კერძოდ ინგლისსა და ბელგიაში.

მამლების ძიძგილი ბელგიელთა საყვარელი გასართობი იყო. იქ საგულდაგულოდ ზრდიდნენ მებრძოლ მამლებს. ბრძოლის დაწყებამდე რვა დღით ადრე მათ ლუდში დამბალი კვერცხიანი შვრიით ან ფეტვით კვებავდნენ. ორი დღით ადრე კი ქათმებისაგან აცალკევებდნენ. დამარცხებულად ითვლებოდა ის მამალი, რომელიც ბრძოლის ველზე წაიქცეოდა.

დასასრულ, ერთი მეტად საყურადღებო რამ: კანადელი მეცნიერები დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მამლები მღერიან (ყივიან) ვარსკვლავზე ორიენტირებით. ეს ვარსკვლავი კანოპუსია (გემის ხერხემლის თანავარსკვლავედის ვარსკვლავია), რომელიც ბრწყინვალებით მეორეა ცაზე სირიუსის შემდეგ (ნათებით 4700-ჯერ აღემატება მზეს).

მკითხველებს შევახსენებთ, რომ ჩვენი საუკუნის ბოლო წლები აღმოსავლური ჰოროსკოპით ასე გამოიყურება: 1994 — ძაღლის, 1995 — ღორის, 1996 — თაგვის, 1997 — ხარის, 1998 — ვეფხვის, 1999 — კურდღლის და 2000 — ურჩხულის წლებია.

სულიკო ნუცუბიძე.

ნაზი კილასონია

მრავალ ახალ წელს!

ყოველ ახალ წელს
ზე სურვილი გვწევს,
ყოველ ახალ წამს
მარადისად გვწამს,

რომ მამულის ხმა
გაგვიმაგრებს მხარს,
რომ სიმაღლით გვმზერს
სიახლეთა მზე,

რომ ბედნიერ წელს
დავიგულებთ მზედ,
ფიფქია თუ თოვს,
გული სიტკბოს გვთხოვს,

აღმავლობის მთას
იმედები რთავს,
გაუმარჯოს მწეს —
სამშვიდობო წელს.

გავუმრავლდეთ ერს,
ჩვენს შნოსა და ფერს...
და ფიფქებიც წერს:
მრავალ ახალ წელს!

ფონდის საჩუქრები

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს დემოკრატიისა და ალორძინების ფონდის ვიცე-პრეზიდენტმა სოლიკო ხაბეიშვილმა უთხრა, ამ ორგანიზაციამ ხუთი მილიონი მანეთი გამოუყო საბავშვო სახლებს, სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო საავადმყოფოებს, ხელმოკლე ხანდაზმულ ადამიანებსა და ინვალიდებს. უყურადღებოდ არ დარჩენილან სამეურვეო ბავშვებიც: მათ სახელზე ევერთბანკში გახსნილია ორასი ათასი მანეთი საერთო თანხის ანგარიშები.

სურამის საბავშვო სახლისათვის შეკვეთილია ფეხსაცმელი, ლტოლვილები მიიღებენ ორ-ორ კილოგრამ შაქარს. საქართველოს სპორტკომიტეტს კი გადაეცა ბავშვებისა და ინვალიდებისათვის მეორე ოლიმპიური ასპარეზობის მოწყობის სახსრები.

ზეიმი-ზეიმია, მაგრამ ჯერ კიდევ მშვიდობა არ დამდგარა ჩვენს მიწაზე. და დემოკრატიისა და ალორძინების ფონდმა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს მილიონი მანეთი გადასცა.

კარიკატურისტის კომენტარი





მხატვარი რომან ქარჟუსაშვილი.

მომყევით და ბედსა გწევთ

სენსაციების მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ გადავაწყდი და რა ვქნა? ლაპარაკია კარლ მარქსის „კაპიტალზე“, რომელიც ამას წინათ ვანო ოქრომჭედლიშვილის კომერციული მაღაზიის ვიწრო კაბინეტში ვნახე გადაშლილი.

— **მარქსისთვის მოიცალეთ?** — ვკითხე გაკვირვებულმა.

— რას ჰქვია, მოვიცალე, — იწყინა ბიზნესმენმა. — მე ჩემი ქვეყნის სიღატაკიდან გამოყვანის ეკონომიკის მოდელზე ვმუშაობ და, რა გასაკვირია, რომ მარქსსაც მივაკითხე?

— **თუმცა ეტყობა მას მაინც და მაინც კარგი თვალით არ უყურებთ. მახსოვს, ამას წინათ თქვენ ის ეშმაკის კერძად მოიხსენიეთ.**

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ვიდრე ამას ვიტყოდი, მისი ზედმეტი ღირებულების კანონს საკმაოდ ღრმად გავეცანი.

— **მერედა, იქიდან რა დასკვნა გამოიტანეთ?**

— ერთადერთი: არავითარი ზედმეტი ღირებულების კანონი არ არსებობს. ჩემი ღრმა რწმენით, ისევე როგორც ბუღალტერიაში დებეტი და კრედიტი, ეკონომიკაშიც არის მხოლოდ მოგება და წაგება. თუ კაცი ხერხიანი ხარ და ალღოც არ გღალატობს, მოიგებ, თუ ხელთუპყარი და ღოყლაპია — წააგებ. ეს არის და ეს.

— **მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ მაინტერესებს, ლენინსაც ხომ არ კითხულობთ?**

— არა. ლენინი ხომ იგივე მარქსი და ენგელსია (არც ამ უკანასკნელს ვკითხულობ, რადგან მარქსია). ეს ყველამ იცის, ლენინს თავის სიცოცხლეში საკუთარი არაფერი შეუქმნია, ყოველ წინადადებაში მხოლოდ მარქსის აზრებს იმეორებდა. წარმოიდგინეთ, არცერთ გამოჩენილ ფილოსოფოსს არ იცნობდა პირველწყაროებში, კრიტიკით კი ყველას აკრიტიკებდა. ვისი იმედით? მარქსისა და ენგელსის იმედით.

— **მაგალითს ხომ ვერ დაგვისახელებდით?**

— მისი ყველა შრომა ამის მაგალითი არ არის? აი, ცნობილი დიურინგიც ვითომ მიწასთან რომ გაასწორა, განა ეს ენგელსის „ანტიდიურინგით“ არ მოიმოქმედა? თუმცა ლენინი რად გინდა, საბჭოეთის მეცნიერები თითქმის მთელი საუკუნე „ანტიდიურინგის“ წყალობით არ ათახსირებდნენ დიურინგს?

— **არც ევრი შეიძლება, ბატონო ვანო, ლენინის ღვაწლის დაუნახაობა. განა ლენინმა მარქსისა და ენგელსისგან დამოუკიდებლად არ აღმოაჩინა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა?**

— მერე ერთ ქვეყანაში აშენებინა, სხვებს რაღას დაერჩინოდა? თანაც, როგორ ფიქრობთ, მკვიდრად რომ ყოფილიყო ნაშენები, ჭარიხვეტია გორბაჩოვი ერთი ხელის მოსმით დაანგრევდა? სიტყვამ მოიტანა და, თქვენ, საბჭოთა ყოფაში გამოზრდილ ჟურნალისტებს, ყოველთვის გიყვარდათ ასეთი ბელადებისა და მთავრობების ცაში აყვანა. აი, ახლაც, თავისუფალ საქართველოში, სადაც ათობით გაზეთი გამოდის, ყველა მათგანი სახელმწიფოს მაქებარია. მათგან ზოგი კომუნისტურ რეჟიმს უმღერს გაუნდრუკს, ზოგი ზვიადისეულს და ზოგი კიდევ ამჟამინდელს. ვერც ერთ გაზეთს ვერ დამისახელებთ, რომ საკუთარი პოზიცია გააჩნდეს.

ჰო, კინაღამ გულისხმიდან გამომიყვანეთ. სახელმწიფოზე ვმსჯელობდი, მარქსი ქადაგებდა, კომუნიზმის სრული აშენების შემდეგ სახელმწიფო თავისით მოკვდებაო. ჩვენ კი, ხედავთ, თურმე სახელმწიფოს ბუნებრივი სიკვდილი არ ვაცალეთ და ძალით დავანგრიეთ. თუმცა ზოგი იმასაც ამტკიცებს, კომუნიზმის ბოლო ფაზაში ვიყავით, მაგრამ ვერ გავიცნობიერეთო.

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

— **ბევრი ამაში, ბატონო ვანო, თვით კომუნისტებს ადანაშაულებს: მათ ვერ შეძლეს მიღწეულის დასაბუთება, ხალხის გათვითცნობიერება. რაც ხელუკუღმა შემოუბრუნდათ კიდეც.**

— ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: კომუნისტებმა ვერც კომუნიზმი ააშენეს და სახელმწიფოც უდროოდ დაანგრიეს (ყოველ შემთხვევაში, სანახევროდ მაინც). შეიძლება ამიტომაც თქვა ერთხელ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ: ჩვენ ახლა ნახევარსახელმწიფოში ვცხოვრობთო. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის დიდი შეღავათი არ უნდა იყოს, მე თუ მკითხავთ, ნახევარსახელმწიფოს, ალბათ, მთლად დანგრევა აჯობებდა.

— **რატომ ფიქრობთ ასე?**

— იმიტომ, ბატონო, რომ ახლა აღარც სოციალიზმს ვეკუთვნით და აღარც კაპიტალიზმს, როგორც იტყვიან, აბნეული ბატებივით დავაბოტებთ წუმპეში. ნახევარსახელმწიფოში რომ არ ვიყოთ, განა მაფია ცხოვრების სადავეებს დაისაკუთრებდა? განა რეგულარული ჯარი არ გვეყოლებოდა და შეიარაღებული ფორმირებები თავიანთ ჭკუაზე იპარპაშებდნენ? განა სახელმწიფო მაღაზიები იჯარით (გამოსყიდვის უფლებით) გაიცემოდა და კერძო საკუთრება სარდაფებსა და ტროტუარებზე გამოფენილ ჯიხურებში შეიყუჟებოდა?

— **როგორ გგონიათ, კერძო საკუთრების გაფართოების ყველა საშუალება ამოიწურა?**

— თითქმის. თქვენ თვითონ განსაჯეთ, ქალაქში ერთი სარდაფიც აღარ დარჩა, რომ კომერციული მაღაზია არ გახსნილიყო. თუმცა არის ერთი გამოსავალი — ბილიკზე ჯიხურების ნაცვლად (რომლებიც ახლა მთელ ქალაქშია მოდებული) მრავალსართულიანი, მაღლივი ჯიხურები ავაშენოთ. ან ისინი სულაც შუა ქუჩებში და პროსპექტებზე გადავიტანოთ (უბენზინობის გამო მანქანები მაინც აღარ მოძრაობენ და სხვა რაში უნდა გამოვიყენოთ?) მართალია, ქუჩები ძალიან შევიწროვდება, სამაგიეროდ კომერცია და ბიზნესი გაფართოვდება.

— **ეს ქალაქად, მაგრამ სოფლად რაღა ვქნათ?**

— იქ, მე მგონი, საქმე კიდევ უფრო უკეთესად გვაქვს.

— **რას გულისხმობთ, კომერციულ ვაჭრობას სოფლად გადატანას თუ უცხოური კაპიტალის შემოტანას?**

— ცოცხლად, უცხოური კაპიტალი მალამოსავით მოგვეცხებოდა, მაგრამ რომ არ შემოაქვთ? ზოგიერთი ამას ომითა და პოლიტიკური არასტაბილურობით ხსნის, მაგრამ ნამდვილი მიზეზი, თუ გნებავთ, ის არის, რომ ბევრი ჩემი კოლეგა უცხოელებს ბიზნესის ქართულ ვარიანტს სთავაზობს: ჩვენ ნებას გრთავთ, შემოიტანეთ ნედლეული, ტექნოლოგიები, გამოუშვით პროდუქცია, გაყიდეთ, მიიღეთ რაც შეიძლება მეტი მოგება და შუაზე გავიყოთო. ზოგიერთი იმ მოგების წილსაც თხოულობს, იქაურ ბიზნესმენს ჩვენს გაცნობამდე რომ ჰქონდა დაგროვილი. ასეთი რამ გაგონილა? ხელი არ გაგინძრევია, ოფლი არ დაგიღვრია და მოგება გამიყავიო. ეგრე სად არი?

— **ეს არც მე მომწონს, ბატონო ვანო, მაგრამ სოფლად სხვა რისი იმედი გქონდათ?**

— რისი და, იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, ტერტერამ შემთხვევით ულელი გადააგდო და ქვეშ კურდღელი მოაყოლაო. მე მგონი, ჩვენმა მთავრობამაც ასე დაიმართა, მიწები რომ დაარიგა, კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ ბევრი განზე გადგა და შრომა იუარა. ეს მე არ მომწონს. აბა, დაუფიქრდით, უფასოდ მიწები ჩამოგვირიგეს, ფულის კეთების საშუალება მოგვეცა და ჩვენ კიდევ შრომას გავურბივართ? არა ვართ მართლები. რადგან ქალაქში ყველა მაღაზია გაყიდული აღმოჩნდა, მე თქვენს ადგილზე სოფლად გავხსნიდი კერძო სავაჭროებს, დუქნებს, საწარმოებს, მოვაშენებდი ფერმებს, მოვხნავდი, დავთესავდი, შინაურს მოვიყვანდი, მეც გავმდიდრდებოდი და სხვასაც გავამდიდრებდი. ეს არის სწორედ საბაზრო ეკონომიკა და მეტი არაფერი. მე პირადად მიმაჩნია, რომ შრომამ და ბიზნესმა უნდა შექმნას იგი (საბაზრო ეკონომიკა) და არა დეზერტირისა და ნავთლუღის ბაზრებმა. როგორ გგონიათ, იმ მომცროტანიანმა იაპონელებმა და კორეელებმა ვითომ ეკონომიკური მოდელით გაგვაჯობეს? არა ბატონებო, შრომით, მოხერხებულობით და ბიზნესით დაგვჯაბნეს. ეგ კი არა, თუ საქმეებს თავი დავაღწიე, მეც ჩავერთვები სასოფლო ბიზნესში და ნახავთ, რა მილიარდებს დავატრიალებ.

თქვენ მამაცხონებულებო, ამ პატარა სარდაფში ოქროთი ავივსე და იმხელა მიწა-წყალზე ხელცარიელი დავრჩები?

როგორც გავიგე მთავრობაში ახლა უცხოელ სპეციალისტებთან ერთად ეკონომიკური მოდელის შექმნაზე მუშაობენ, მაგრამ არა მგონია იმათმა ნაფიქრალმა ჩემსას აჯობოს. ასე რომ, ნურაფრისა გენაღვლებათ, მომყევით და ბედსა გწევთ.

ოთარ ხუციშვილი.

რადიო „თავისუფლება“ (მიუნხენიდან)

GOULNARA K. OURATADZE
Director
Georgian Service
Radio Liberty

RADIO FREE EUROPE
RADIO LIBERTY

RFE/RL INCORPORATED
OETTINGENSTR. 67 AM ENGLISCHEN GARTEN
8000 MUNICH 22, WEST GERMANY
TELEPHONE (089) 2102-2268
TELEFAX (089) 2285188
TELEX 523228/523904

ჩვენი გადაცემების მოსმენა შეიძლება ყოველდღე თბილისის დროით, 19-დან 20 საათამდე: 19 და 25 მეტრის ტალღებზე, ანუ 15170, 15840, 11825 და 11875 კილოჰერცის დიაპაზონში;
21-დან 22 საათამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11875, 9540, 9595 და 7255 კილოჰერცის დიაპაზონში;
და დილის 6 ს. და 50 წუთიდან 7 ს. და 30 წუთამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11795, 11875, 9595, 9650 და 7180 კილოჰერცის დიაპაზონში.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434